65/.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელი სხივი

№ 7–8

შინაარსი

		გვერდი
1.	პიონერთა სიმღერა—ლექსი ელიოზიშვილისა	1
2.	შაითან ქომსომოლ! ს. ერთაწმინდელისა	2
3.	ჩვენი დედ—ლექსი თამარა ჩქარეულისა	7
4.	პიონერი თანდო—კ. ლ—ძის	8
5.	უცხოეთის ცხოვრება	11
6.	ლი-ლუ და ჩუნ—დიმიდე ანთაძის	[illegible]
7.	ჩემი ჩონგური—ლექსი დ. ელიოზიშვილის	20
8.	მზის ძღვენი—დ. კარბელის	21
9.	ფუდბანოში—ჯ. მ.	24
10.	გლეხის იქედი—ლექსი დ. ელიოზიშვილის	27
11.	შემოდგომა—ლექსი კ. ლორთქიფანიძის	27
12.	ფრინველების მოგზაურობა—დავ. კარბელის	28
13.	ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა—შ. შე—ლისა	30
14.	მაღაროების კოლექტივი—ეფრემიძის	33
15.	ჩვენი მეგობრები და მტრები მსოფლიოში—ფ. კარბელისა	34
16.	ბავშვთა საერთაშორისო კვირეული—ბ.	37
17.	მეცნიერება და ტექნიკა: წყალქვეშა მხატვარი, დინამიერის ყვერულები, ბრძოლა ღრუბლებთან	39
18.	ნარეკი: 1. ხიბლავს თუ არა გველი? 2. როდის დასჯაბნა მარჯვენა მკლავმა მარცხენა? 3. მოძრაობათა სიჩქარე. 4. კოსტა-რიკას ციკინათელები. 5. შარადა—დ. კარბელისა.	41
19.	ნორჩო პიონერო, შენ ენდა წიკითხო შენი წიგნი—ბიჭკოსი—ყდაზე.	

ვისი სურათია 1 გვერდზე?

1) ბერძენი (ულრაინა), 2) ბურიატი (ციმბირი), 3) სხ-მეხი (ამერ-კავკასია), 4) ყირგიზი (ციმბირი), 5) ქარ-თველი (ამერ-კავკასია), 6) უზბეკი (შუა-აზია), 7) კა-რაკალპაკი (შუა-აზია), 8) უიჩური.

ბ-63.

წითელი სხივი

1925
ივლისი—აგვისტო

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალ. კომიტეტის ჟურნალი ბავშვებისათვის.

წელიწადი 2
№ 7—8

ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ამბავი შაპსეი-ვახსეის დროს).

I.

— არა და არა!—ეუბნებოდა ჯიუტად აჰმედა მამას, რომელიც მერამდენჯერმე აძლევდა წინადადებას, რომ მას თავი დაენებებინა ახალგაზრდათა ლენინურ კავშირის წევრობისათვის...

მამა უჯავრდებოდა, ემუქრებოდა, მაგრამ ვერ შეარყია შვილის რწმენა...

აჰმედა იყო მეექვსე ნასრულას შვილი, 13—19 წლის, წარმოსადეგი ტანის, დიდი ენერგიის მქონე და აქტიური მომუშავე მუსლიმან ახალგაზრდობაში; ის იყო ერთი დამთავრებელთაგანი და ინიციატორი თავიანთ უბანში ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის უჯრედისა.

მან ახალი აზრები შეითვისა მათ უბანში მცხოვრებ გურჯ ლეოს შემწეობით, რომელთანაც ის ხშირად დადიოდა, ამხანაგი იყო...

მას დიდი დაბრკოლებები ელობებოდა წინ, რომ გადალახა ფანატიკური ადათები ძველ, პატრიარქალურ მაჰმადიანის ოჯახისა; მას ბევრჯერ დაემუქრენ კიდეც სიკვდილს, მაგრამ მის გამოდევნებულ, მეამბოხე სულს ვერაფერი ეზრებდა...

მას განსაკუთრებით მტრობდენ მოლლა ჰასან სოიუნ-ზადე, რომელიც ამ ახალ სიოს შემოქრაში ეხებოდაც წინასწარმეტყველ მაჰომედის სარწმუნოების საწინააღმდეგო, დამასამარებელ აზრებს, მიმართულებას, და მდიდარი ვაჭარი ალი აკბერ ჯელალოღლი, რომლის ქალი, ასტარა, უყვარდა აჰმედას.

ეს ორნი იყვნენ, რომ აღელვებდენ მოსახლეობას, ეს ორნი იყვნენ, რომ ნასრულას არ აძლევდენ მოსვენებას, მოაკვლევინე შენი შვილი..

აჰმედას ახსნით ნასრულა გაცნობილი იყო კომკავშირის მიმართულებას; შვილი ძალიან უყვარდა და არც არაფერში ეწინააღმდეგებოდა, როგორც ღარიბი, უბრალო მუშა; მის გულშიაც იყო ჩაწვეთებული რევოლიუციის შუბი, რაც მათს გაბატონებულ კლასს არ მოსწონდა, მაგრამ ძლიერი იყო მასში აგრეთვე მორწმუნე მაჰმადიანის ფანატიზმი; მას მეექა-მედინაშიც კი უნდოდა წასვლა მაჰომედის საფლავის მოსალოცად, რათა მას შემდეგ ჭქონოდა „ჰაჯის" წოდება, „ჰაჯი-ნასრული". მაგრამ ჯერ ერთი უსახსრობის გამო, და მეორეც უფრო აჰმედას რჩევით, აიღო ხელი ამ განზრახვაზე...

იგი ახლაც, ამ დილას უჯავრდებოდა, ურჩევდა შვილს „მორჯულებას", მაგრამ მაინცდამაინც არც წინანდელის სიმტკიცით; ძალას არ ატანდა; მას უყვარდა თავისი ერთადერთი შვილი და მშობლიური გული არ აძლევდა მის დატუქვის უფლებას...

ის მხოლოდ მოლასა და ვაჭრის მუქარით მოქმედობდა...

ეს იცოდა აჰმედამ და ერთხელ უყვირა კიდეც მამას:

— მე ვიცი, ვინც გაღიზიანებს და გამხედრავს ჩემზე; ისინი ფრთხილად იყვნენ, თორემ!..

ამ სიტყვებში იყო ცეცხლის თქმა, უკანდაუხევი გადაწყვეტილება.

ნასრულა შეკრთა...

მას ეშინოდა, რომ აჰმედას მართლაც არ მოეყვანა სისრულეში თავისი მუქარა, რადგანაც იცოდა, რომ თუ ის იტყოდა რასმე, მართლაც ასრულებდა.

— ნასრულ, დაანებე თავი, რაც უნდა ჰქნას,— უთხრა ერთხელ ცოლმა, გულჩრთამ.

ნასრულას არაფერი უთქვამს, ისე დადუნა თავი და წაიიდა აბანოში.

გულჩორა, პირიქით, ხელს უწყობდა აჰმედას, არა იმიტომ, თითქოს ახალი იდეების რაიმე შეგნება ჰქონოდეს, არამედ უფრო მშობელი დედის შელისადმი სიყვარულით..

II.

ალი-აკპერი მდიდარი და გავლენიანი იყო. მოლლა ჰასანას დახმარებით მას ხელში ეჭირა ღარიბი მოსახლეობა; ის ყოველმხრივ სცდილობდა რევოლუციონური სული არ შეჭრილიყო მათში, მაგრამ კარებს რომ ურაზავდა, რევოლუციის ფაფარაყრილი ძახილი მას ფანჯრიდან შეეპარა...

მისი ქალი, ასტარა, რომელზედაც ამოსდიოდა მას მზე და მთვარე, ვიღაც ალლაჰის მგმობ, მოჯანეკ აჰმედასთვის იწვოდა..

მან ბევრჯერ სცემა ქალს, თმებით ათრია, მაგრამ შეყვარებულნი მაინც ახერხებდნენ შეხვედრას ალი-აკპერის მსახურ ნაჯის დახმარებით...

ერთ ზაფხულის საღამოს ისეთი ამბავი მოხდა, ისეთს სურათს ჰქონდა ადგილი, რომლის შემდეგაც აჰმედას სახელის ხსენებასაც კი ვერ ინელებდა ალი-აკპერი, და მაშინვე წამოიძახებდა ბრაზით:

— შაითან, ქოშმომილ! ყაჩაღ! ით!..

საქმე შემდეგში იყო:

ვიდრე ალი დუქანს დაჰკეტდა, აჰმედამ, კომეუჯრდს კრების გათავების შემდეგ, დრო იხელთა და ასტარას შეხვდა ალაყაფის კარ ან...

ბნელი ღამე იყო...
წვიმა სცრიდა...

ხალხი ნაკლებად დადიოდა ჩუჩაზე.

— ასტარ!..

— აჰმედ ...

ისმოდა მათი ჩურჩული...

ორი ახალგაზრდა გული გამოეფეთქა ყაბზეზე...

მათ გადასწყვეტეს, რომ [illegible] ... ...

ებრძოდენ დროგადასულ ხალხის შეხედულობას...

სულეიმანი, ასკარა, მირზა, სათარა, რეშიდი და თვით ალი-აკპერის ძმისწული რიზა თავის დით, ფატმათი — ამაგე უჯრედის წევრები და აჰმედას საუკეთესო დამცველი ამხანაგები იყვნენ.

ახალი და ძველი თაობის შეხლამ უკიდურესობამდე მიაღწია...

— აჰმედ კარგი ვაჟია, ალიავ, ყოჩაღი, და შენ რად გეჯავრება ეგრე?

უთხრა ერთხელ, მეზობელმა ვაჭარმა, გეომ, ღიმილით.

- ღოჩაღი კი არა, ღაჩაღი!

უყვირა მან...

III.

გამწვავებული ხასიათი მიიღო უფრო იმ წესების და ადათების წინააღმდეგ ბრძოლამ, რომელნიც ჯერ კიდევ ბლომადაა მათში დარჩენილი, საუკუნოებრივი ჩაბღაუქებით, სარწმუნოებრივ ნიადაგზე, სადაც ოგრეთვე შედის უუფლებობაც ქალის, რომელსაც ჩადრი მოჰხადა რევოლიუციის ყივილმა, მაგრამ სარწმუნოებრივი სიბნელე კი მაინც არ უშვებდა აღვირს...

ერთი ასეთი ადათთაგანია შაჰსეი-ვახსეი, რომელიც ყოველად დამმცირებელია და საზიანო მშრომელი ხალხისათვის...

ამ დღესასწაულს ყველა მაჰმადიანი არ იხდის.

ისინი გაყოფილი არიან, სარწმუნოებრივ, ორ შტოდ: შიიტებად და სუნიტებად.

სპარსელები შიიტები არიან, ოსმალები კი სუნიტები.

შაჰსეი-ვახსეის შიიტები იხდიან.

ჩვენი აქ მოყვანილი გმირები შიიტის შტოდან არიან, და მიტომაც არის, რომ ასე გაფთრებით დაეჯახნენ...

ბევრმა, ამ წესის შემსრულებელმა, არც კი იცის, თუ რას ჩადის, გმირთვის წვალობს და იმახინჯებს თავს; მას მხოლოდ რაღაცა ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, შორეულ წარსულის ვარდმოცემებით; მან იცის მხოლოდ ის, რომ, თუ ამ დროს მოკვდა, სამოთხეში შევა და წმიდა მაჰმადედთან ექნება ბინა. ამიტომ, ფანატიკურად მორწმუნე შიიტი გაბედულად მიდის სასიკვდილოდ გორხანაზე...

ჭასეი-ვახსეიში მონაწილეებს მოლა აღლვებს ყორანისა და სხვა თქმით; იგი მეჩეთის მინარეთზე გადმომდგარი იხმობს ყველა მორწმუნე შიიტს თავგანაწირავად...

მათი თქმულებით, ისინი ყოველწლივ სამდღეს გლოვობენ მაჰმადის შვილს — ალის — შვილს ჰუსეინს, რომელსაც სთვლიან თავიანთ პირდაპირ წინაპრად, რომელიც მოჰკლეს ბოლიდ ტაზიდ, სუნიტმა.

მოლა მოუპარავს მათ წინ ქოჩორს, ან მოაპარსევინებს. ამ ადგილს ისინი ხანჯალს იცემენ, უფრო ჩლუნგს, ბლავეს, მაგრამ უფრო გაბედულნი კი შუაზედაც იჩეხენ თავს...

წელამდე გატიტვლდებიან და ტანზე იცემენ ჯაჭვს ძახილით:

— შაჰსეი-ვახსეი!

ულურჯდებათ ტანი, სისხლი შადრევანად სცემს...

ამის გარდა ტანში, ხორცში იყრიან თუნუქის ნაჭრებს, კლიტეებს, რკინებს, და, ვინ იცის, კიდევ რას...

მუშტების მკერდში რტყმით, სახის ხოკვით არ იზოგავენ თავს...

რამდენიმე ჯგუფად იყოფიან...

ყველაზე პირველად და მიღებულად არიან მეხანჯლენი ..

ყველა ამათ თითო თანმხლებელი ჰყავთ გვერდზე, რომელიც გაბურებულ მონაწილეს კეტს შეაშვებენს თავზე, რომ ხანჯლით არ გაიჩეხოს.

ბევრი კვდება კიდეც.

დაჭრილები მიჰყავთ მეჩეთის ამანოში, ამანავებენ და რაღაცა ბალახებისაგან შეზავებულ წამლებით უშეშვენ ჭრილობას..

ამას, რასაკვირველია, სჩადის ღარიბი მოსახლეობა...

მდიდრები: ვაჭრები, ბეგები, ხანები, აღები, მოლები, შეიხები — მხოლოდ უბრალო მაყურებლები არიან, ამხნევებენ მონაწილეებს და ასაჩუქრებენ კიდეც.

ისინი ამით და მრავალი ასეთი ადათით უფლობენ მათზე; სიბნელის, უვიცობის გამო შექმნილ მათ უბედურებაზე აგებენ თავის ბედნიერებას...

აი ასეთი ადათის წინააღმდეგ აღიმართა ახალგაზრდობა აჰმედას მეთაურობით.

IV.

— როგორ, შენ არ იღებ დღეს მონაწილეობას?!.

ჭკითხა გაკვირვებით ალი-აკპერმა ნასრულას, რომელიც არხეინად იჯდა და სწევდა ყალიონს ახუნდ შირვან-ოღლის საჩაიეში, და გაჭყურებდა გორხანის კენ მიმავალ შაჰსეი-ვახსეიში მონაწილეებს...

მან გაიღიმა გესლიანად, ქუდი მოიხადა და თავი დაჰბარა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამა ნახე, რამდენი ჭრილობა მაქვს თავზე! უთხრა მან.

— მერე? იკითხა ალიმ გაკვირვებით.

— მერე და ის, რომ შენ კარგად იცი, თუ რა აღფრთოვანებით ვიღებდი ხოლმე წინად მონაწილეობას, ბევრჯერაც მივსულვარ საკვდილის პირამდე, მაგრამ შენ?! შენ ერთხელ მაინც მიგიღია მონაწილეობა? ჰა?! ამა მაჩვენე შენი თავი, ტანი! შენც ხომ მორწმუნე მაჰმადიანი ხარ, შიიტი; რატომ შენ კი არ ირტყამ ხანჯალს, ჯაჭვს, და...

უყვირა ნასრულამ და ცხელი ჩაით სავსე ჭიქას წამოავლო ხელი.

ალი-აკბერს ელეთ-მელეთები აერია, ყვითელმა ფერმა გადაჰკრა სახეზე და განშორდა...

— ახმახ! ჰაგაშიც დაუბედია შაითანს!

ბუტბუტებდა ის გზაზე...

ნასრულა პირველად ამ წელს აღარ იღებდა მონაწილეობას შაჰსეი-ვახსეიში; მას თვალები აუხილა შვილმა და ახლა სხვებზე ნაღელობდა, რომელნიც თუმცა ძველებურად მრავალნი აღარ იყვნენ, მაგრამ მცირე ჯგუფი მაინც მონაწილეობდა.

ახალგაზრდობის პირ მაღლა აწეული ჩირაღდნის ალი ჰფანტავდა ფანატიზმის სიბნელეს...

ისინი თუმცა ფრთხილად, მაგრამ მაინც გაბედულად აუდგენენ წინ მონაწილეებს და აუხსნეს ამ ადათის მავნებლობა...

გაფთრებით იბრძოდენ, რომ გაეფანტათ მათ თავზე მოხვეული საუკუნეთა ნისლი...

ისინი მოდიოდენ ატლასლოყების მზის, მარჯნის ტუჩთა აელვარებით, თავისუფლების ჰიმნად...

მათ ააფრიალეს წითელი დროშები ზედ გამაფრთხილებელ წარწერებით; გამოჰკიდეს პლაკატები; გაავრცელეს მოწოდებები...

უღონო იყო ამ შემთხვევაში მოლა ჰასან სოიუნ-ზადეს და ალი-აკბერ ჯელალ-ოღლისთანა ხალხის ღრენა...

ისინი ხედავდენ, რომ ეცლებოდენ აკაბაბაში ნიადაგი თურქი ახალგაზრდობის ყივილზე,..

IV.

— რაო, ნაჯი, რა გატირებს?

შეეკითხა აჰმედა, რა ის შენინშაალის სახლის ჭიშკრიდან გამომავალი, პატარა ბოხჩით.

— გამლანძღა, დამითხოვა — მიუგო ნაჯიმ სლუკუნით.

— შენ უწყობდი აჰმედას და ასტარას ხელსო, და კინაღამ თავი შუაზე გამიპო.

აჰმედა აენთო.

— ნუ გეშინია, ნაჯი, მე არ შევარჩენ მას ამ თავხედობას; სამი თვის ჯამაგირს წავგლეჯ კანონით და მოვაცემინებ... ადგილზეც ნუ ნაღვლობ... დღეს საღამოზე გამოიარე ჩვენს კლუბში; იქ, ვგონებ, დამლაგებელის ადგილი თავისუფალია...

ანუგეშა მან.

ნაჯი დამშვიდდა...

— ასტარა როგორაა?

ჰკითხა აჰმედამ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— ასტარა?! აქედანვე თუ არ ეცადე, ვეღარა ნახავ მას; ვგონებ, ამაღამ მიჰყავს ის ალის განჯაში, თავის დასთან.

უთხრა ნაჯიმ.

აჰმედა შეფიქრიანდა...

— ამაღამ, განჯაში?!

იკითხა მან, თითქოს გაგონილს არ უჯერისო.

— ჰო, ჩუმად... შენგან უნდა მოშორება...

— მერე და ასტარა?

— ასტარა რა, ზის და ტირის, თავს იკლავს...

აჰმედა სადღაც გაჰქრა...

ნაჯი გაჰყვა ვიწრო, მიყრუებულ ქუჩას...

VI.

შუაღამე ახლოვდებოდა...

ელექტროთი განათებული დიდი სადგური აჭედილი იყო მილეთის ხალხით...

ზოგი მირბოდა, ზოგი მორბოდა, ზოგი სალაროსთან იდგა გრძელ რიგში მილეთისთვის.

შესავალ კართან ატუზული დარაჯი წესიერებისაკენ მოუწოდებდა მგზავრებს...

გარეთ ტრამვაის ხმაურში ისმოდა მეეტლების გამაფრთხილებელი:

— ხაბარდა!

ორთქლმავალმა შეჰკივლა...

მეორე ზარი გაისმა...

ალი-აკბერმა სალაროს ფანჯარას მიატანა...

ცხვირწინ ჩამოეშვა ფიცარი; სალაროდაიკეტა..

ალი დაიბნა; არ იცის რა ჰქნას; დარბის გამწარებული; გადამხიდავებს ეხვეწება ბილეთის შოვნას კარგი გასამრჯელოთი...

შეოთავს...

— ასტარა მარტოა; იქ ზის; ნოქარი ბარგს უდგას; ალი ბილეთებისთვის დარბის...

უთხრა ჩურჩულით მირზამ სულეიმანთან მოლაპარაკე ამჰედას კუთხეში.

— უთხარი, რომ აქ ვუცდი... უთხრა მან მირზას.

ის შეერია ხალხში...

— ეტლი ხომ მზადაა?—იკითხა ამჰედამ.

— მზადაა. სათარი იქაა,—მიუგო სულეიმანმა.

იკეცებიან მოუთმენელი წუთები...

ამჰედა ნერვიულობს...

ამხანაგები მეშაობენ...

VII.

— ასტარ, ამჰედა გელის კარში...

ჩაულაპარაკა მირზამ ქურდულად და ხალხში აერია პაპიროსის წევით...

ეს ისე შეუმჩნეველად მოხდა, რომ ნოქრის ფიზიზელ თვალ-ყურსაც კი გამოეპარა...

ასტარას დასვენებულ სახეს ნათელი გადეკარა; ვარდის ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა; შავი, მაყვლის თვალები ირგვლივ მოავლო სიფრთხილით და ადგა...

რა ნოქარმა იქით მიიხედა, თკალის დახამხამებაში გასხლტა კარისკენ...

ღონიერმა მკლავებმა დატაცებულივნ ... ...

ჩვენი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დღეა, აბა ჩქარა!
მივაშუროთ მორთულ ქუჩებს...
დეე, იქცეს გული ქარად,
ჩვენ ქარსაც ხომ დავიურჩებთ;

და დროშებით, სიმღერებით
მივეგებოთ ნატრულ წუთებს;
ვით დედა, ჩვენ გვეფერება
და, ვით დედა, გვასათუთებს

ეს დღე თბილი, შემოდგომის,
ეს დღე ჩვენი სიხარულის,
ეს დღე, როცა ჩვენ გვგონია
ჩვენი გული მზე ალური.

დაჭკათ, დაჭკათ ბარაბანი!
საყვირებო, სივრცე სქერით!
მზეო, გვითხარ შენი ბანი
და ჩვენს რიგში შემოიქერ.

ქარო, ჩვენებრ თავშიშველავ,
რათ გიყვარს ეს კიკი ქროლვა!
რომ ნავარდობ მუდამ ველად,
ასე შენგან რა გამოვა!

ახლა, ვიცით, გიხარია,
უკან სტუდენტ გვედევნები,
ნაბიჯები იჩქარიან
და შენც ცეცხლი მოგდებია.

მაგრამ, ქარო, სულმოკლე ხარ,
გზაში უკლებ სადმე ბერვას;
იცი, ენა დაიმოკლე
და წამოდი პიონერად!

ჩვენი დღეა, ჩვენი, ჩვენი,
ეი, სიცოცხლეევ, სალამს გაძლევთ!
ყვავილივით გულზე გშვენით,
გავიშლებით და მასდავძლევთ,

რაც მამებმა ვერ მოასწრო,
რაც მამებმა დავიტოვა:
ჩვენ, ჩვენ უნდა ამოვაშროთ
მშრომელებზე ტანჯვის თოვა.

მაშ დაჭკარი, ბარაბანო,
შენ, საყვირო, სივრცე სქერი...
დღეს ზეიმში თუ ვბანაობთ,
ხვალ ბრძოლაში შევიჭრებით.

ეს მკლავები დღეს თუ ჯოხებს
ბარაბანზე ათამაშებს,
ხვალ მანქანის მცურავ ღვედებს
ათქმეკინებს შრომის მარშებს.

ჩვენი დღეა, აბა ჩქარა!
მივაშუროთ მორთულ ქუჩებს...
დეე, იქცეს გული ქარად,
ჩვენ ქარსაც ხომ დავიურჩებთ!

თამარ ჩქარეული.

პიოლნერი თანდო

— კარგი, ქალო, გეყოფა წუწუნი, ნუ დაკბინე მაგ ბავში, გამოუშვი ჩქარა, თორემ აბერ დასიკხავს და გზა გაგვიძნელდება!—ეუბნებოდა ეზოს ჭიშკრიდან ივანე თავის ცოლს მელანიას, რომელსაც ჩაეკრა თავისი ერთადერთი ვაჟი თანდო გულში და ცრემლებით ულბობდა ლოყას.

— ბიჭო! მიუბრუნდა ივანე შვილს, —დედაშენს რომ უყურო, მაგას ღილამდე არ მოსწყინდება შენი ხვევნა და კოცნა.

— რა იყო, ბიჭო, რა! იწყინა მელანიამ და თავსაფარის ყურით ნამტირალევი თვალები მოიხოცა.

— ნუ გადაირიე, ქალო! მანჯურიის ომში მიდის თუ რა! უი, გაწყდა ძმქვინი ჯილაგი,—გაცხარდა ივანე.

საავე ხურჯინი ურმის კოფოზე შემოდგა, ხარებს ტაბიკები გაუსწორა.

ალიონი იყო. შარაზე გაისმოდა ძაღლების ყეფა და სამუშაოზე მიმავალ გლეხების მხიარული საუბარი, რომლებიც ივანეს გამარჯვებას გადასძახებდნენ და თან თითო-ოროლა სიტყვას დაბარებდნენ ქალაქში.

ამ დილით ადრე წამოიშალა ივანეს ოჯახიფუსფუსებდნენ, დარბოდნენ: პატარა თანდილას ამგზავრებდნენ ქალაქში.

— ქვეყანა რას იტყვის, რომ ერთი ბიჭი უსწავლელი დავტოვო, ფიქრობდა ივანე, რომელმაც საკუთარ თავზე გამოცდით კარგად იცოდა სწავლის ფასი.

— გამარჯობა, ივანე! საით, კაცო, ასე ადრიანა?—მოისმა ჭიშკრიდან.

— ქალაქს მივდივარ, ბაღანები მინდა სკოლაში მივიყვანე; ქვეყანა გადატრიალდა, გამოიცვალა! უსწავლელი კაცი ახლანდელ დროში არ ვარგა, საჭმელს არ მოვაკლებ და სასმელს; რაც შემეძლება, ხელს შევუწყობ. თუ ივარგებს, ხომ კაი, თუ არა და... ალარ დაათავა ივანემ და ღიმილით გადახედა შვილს.

— ხომ იხწავლი, ბიჭო?

— მე ექიმი ვიქნები! პასუხის ნაცვლად დინჯად სთქვა თანდომ.

— ჰო, ბიძია, ჰო, ვერ შეიკავა ღიმილ ჭიშკართან მდგომმა.

— მანამდე არც ჩვენ მოვაკვდებით და შერე შენ იცი, თუ არ მოგგვკლავ!

— აბა, ნუ დავიგვიანებთ! საქონელს მიხედეთ, ჭკვიანად იყავით,—დაუბარა ივანემ უკანასკნელად სახლობას.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ურმები ჭრიჭინით მიემართებოდა ქალაქისკენ.

ქალაქში თანდო ივანემ ერთ თავის მოკეთესთან, ვალიკო კეთილაძესთან, დააყენა.

— უქმეებზე ყოველთვის ჩამოვალ და შენ წაგიყვან, არ მოიწყინო, არ იცელქო და კარგად ისწავლე,—დაუბარა წასვლისას ივანემ თავის შვილს, შემდეგ ცალკე გაიხმო მოკეთე, სთხოვა, თვალშვილისთვის და კარგად მოეკლო.

თანდო გაოცა ქალაქმა. დიდრონი სახლები, ავტომობილები, შეუჩერებელი მოძრაობა და ყრუ გუგუნი მას ლოლავდა, ამამებდა. სოფელში, მინდერებში გაზრდილი, ამ რანის მავთულების და სახლების მრავალფეროვნებით თითქოს შეშინდა, გული შეეკუმშა.

სულ უცხო სახეები, უცნობი ხალხი!.. თავი ობლად იგრძნო...

მაგრამ თანდათან შეეჩვია და შეუყვარდა კიდეც ეს ქალაქი თავის დიდრონი სახლებით და ყრუ გუგუნით.

ჩაება საერთო ფერხულში.

დღეები დღეებს მისდევდა, თვეები თვეებს და მიჰყავდათ მისი ერთფერი ცხოვრება,—დილით სკოლაში, საღამოს შინ, და ასე ყოველდღე.

სწავლობდა კარგად და უხაროდა უქმეების მოახლოვება.

ცოტა ხნის შემდეგ მისი ცხოვრება თითქოს შეიცვალა. ჩვეულებისამებრ ადრე დგებოდა, სკოლიდან მოსვლის შემდეგ საღღაც მიდიოდა, ხშირად შინ გაზეთები მოჰქონდა, კითხულობდა, რეულში რაღაცას იწერდა.

ერთ მშვენიერ დღეს შინ პატარა ბარაბანიც მოიტანა და დაწოლის ხანს სთხოვა ყველას: დილით ადრე გამაღვიძეთ, მთაში მივდივართო.

მაგრამ რატომ? ვისთან?—ეს არ უთქვამს და არც არავის უკითხავს.

სახის გამომეტყველებაც გამოეცვალა. მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხიარული სახე, სიცოცხლით სავსე თვალები აღარ ჰგავდა იმ თანდოს თვალებს და სახეს, რომელიც რამოდენიმე თვის წინათ შიშით შესცქეროდა ყველას.

ხშირად დადგებოდა ოთახში, ლენინის სურათის წინ, რომელიც გაზეთიდან ამოსჭრა და დაიწყებდა წკრიალა და მკვრივი ხმით:

„შენ ჩამოგვშორდი, მაღალო ლენინ“, და როდესაც იმ ადგილას მიაღწევდა:

„ვფიცავთ, შენს დროშას ვატარებთ მაღლა, დაეხმარებით შრომისგან დაღლილთ!“, თვალები გაუბრწყინდებოდა, ხმას აიმაღლებდა, პატარა მუშტს მოკუშავდა და ზევით ასწევდა.

მშვენიერი სანახავი იყო ის ამ დროს.

მასთან ხშირად დადიოდენ ამხანაგები.

— გაზეთს ვუშვებთ და სარედაქციო კოლეგიის კრებაია, იტყოდა ხშირად თანდო და გაიმართებოდა მათ ოთახში გაცხოველებული კამათი.

ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად სიტყვები: პიკორი... გაზეთი... პიონერი... მესამე თაობა... ლენინური აღზრდა და სხვა, რაც ვალიკოს გაკვირვებას იწვევდა.

— რაღაცას აკეთებს ეს ბიჭი, სადღაც დადის, ღამეც არ სძინავს, მუდამ ფიქრობს,—გაიფიქრებდა ხშირად ვალიკო და ისევ მალე დაავიწყდებოდა: არ ჰქონდა საამისო დრო.

მაგრამ ერთმა გარემოებამ უსაზღვრო გაკვირვება გამოიწვია მასში.

ის-იყო სადილად სხდებოდენ.

ამ დროს კარები გაიღო და შემოვიდა თანდო, მაგრამ როგორ!

მოკლე ლურჯი შარვალი და თეთრი ხალათი ეცვა, კისერზე წითელი ნაჭერი მოეხვია, სახე ულიმოდა.

გაჩერდა კარებში, თითქოს ამბობდა: „შემომხედეთ, როგორ მაცვია!“

— სად იყავ, ეს ტანსაცმელი სად იშოვე?—ჰკითხა ვალიკომ.

— მე პიონერი ვარ!—უპასუხა. თანდომ პიკორი,—დაუმატა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— ოჰო,—გაეცინა ვალიკოს.

— რა არის, ბიჭო, პიკორი, ან ეგ ბალიშის პირი რათ მოგიბევია კისერზე?

გამხნევებული თანდო სხაპასხუპით მოუყვა ყოველივეს, თუ როგორ გახდა პიონერი, შემდეგ კი პიკორი.

ვალიკომ ხელი გადაუსვა თავზე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ბიჭუნა! ვერ უყურებ, ქალო, ამ ჩვენ თანდოლს რაები ჩაუდენია, რაები არ უსწავლია?—მიმართა ვალიკომ ცოლს.

გავიდა რამდენიმე თვე. ზაფხულის მზის სხივები უკვდ ეფინებოდენ და ათობდენ დედამიწის გათოშილ სხეულს; ყოველივე მწვანე სამოსელით იხურებოდა.

ცხელი დღეების მოახლოებებით გულში სიხარული გრძელდებოდა.

— რავა გიკითხოთ, ჩემი ბიჭი რავა არის—ეკითხებოდა ერთ დილას სოფლიდან ჩამოსული ივანე ვალიკოს და ურმიდან ქათმებით და ხაჭაპურებით სავსე ხურჯინს იღებდა.

— კარგად, ჩემო ივანე, კარგად; შენს ბიჭს ახლა ვერც იცნობ. რომ იცოდე, კაცო, რაებს არ აკეთებს! ამასწინეთ ჩემ ცოლს დაენახა: ქუჩაში დროშით მიუძღოდა მის ამხანაგებს. ახლა რაფერ აცვია არ იკითხავ? პიონერად დოუქერია ეგზამენი. ლენინურად უნდა გავიზარდოთო და მსოფლიო ბურჟუაზიას ლახვარი უნდა ჩავცეთო—ასე მითხრა. გაზეთებშიდაც რომ ქე სწერს! ჩვენც ისე გვიყვარს, როგორც ჩვენი შვილი. მარტო ის რათ გვიღირს, ყოველდღე გაზეთებს რომ გვიკითხავს; როცა კრებიდან მოდის, იქ გაგონილს ყოველივეს გვიყვება, გვიხსნის.

ამასწინათ სთქვა ჩემს პატარა გოგოზე, იქ უნდა წავიყვანოო. ახლა წერა-კითხვას ასწავლის, უხსნის, აი ესა და ეს არის მუშა ხალხის ბელადებიო. კაი ბიჭი გაყავს, ივანე, კაი ბიჭი,—დაათავა ვალიკომ ღიმილით.

ივანე თავის ყურებს არ უჯერებდა. როგორ? მისი თანდილა და ასეთები? ხომ გადაირია დედამისი სიხარულით.

თანდო კი ამ დროს კლუბში ხელმძღვანელის მოხსენებას ისმენდა ზაფხულში პიონერების სოფლად მუშაობის შესახებ.

გთავებისას სთხოვა ხელმძღვანელს ორი-სამი გაუგებარი კითხვის განმარტება, გამოართვა წიგნები.

გამომშვიდობა ამხანაგებს და შინისკენ გამოსწია,

მეორე დღეს ურმის კოფოზე წამოსკუპებული თანდო უყვებოდა მამას პიონერების შესახებ:

— მე სოფელში ერთი წუთის მოცალებაც არ მეკნება, ძალიან ბევრი საქმე მაქვს დავალებული.

ამხანაგების ბანაკად ჩამოსვლამდე უნდა გავეცნო გლეხების მდგომარეობას: თუ მათ რა უჭირსთ, ანდა როგორ მიდის მათი მეურნეობის საქმე, არხების გაყვანა თუ სეირდებათ—უნდა შევეკრიბო ყოველივე ამის შესახებ ცნობები და, როდესაც ჩემი ამხანაგები ჩამოვლენ, მათ უნდა გადავცე. შემდეგ ყველანი შევუდგებით მუშაობას და გლეხებს დავეხმარებით. უნდა დავუახლოვდეთ გლეხებს—ასე გვიანდერძა ძია ლენინმა,—და ჩვენც უნდა შევასრულოთ ეს.

უკვე სოფელს მიაღწიეს. მზე ჩასასვლელადმზადებოდა, თანდო კი ისევ უყვებოდა მათ შესახებ მოხუც მამას, რომელიც უსაზღვრო სიყვარულით და პატივცემით შეჰყურებდა თავის პატარა ბიჭუნიას.

— გამოიცვალა, გამოიცვალა ქვეყანა, — თორემ ვინ მომასწრებდა მე ასეთ ბედნიერებას! — ფიქრობდა ივანე და ზანტად მიმავალ ხარებს ყაჭარებდა.

კვირა დღეა. სოფლის კანცელარიაში ეს არის გათავდა გლეხკომის კრება.

გლეხები მხიარული ბაასით პიონერებთან ერთად ნელ-ნელა ინშლებიან.

მხოლოდ ცოტა მოშორებით დგას დაღვრემილი სახით ჭაღრაშერეული გლეხი პავლე და რაღაცას ხელებგაშლილ ლაპარაკობს.

ორი-სამი კაცი გარს შემორტყმია და ანუგეშებენ:—ნუ გეშინია, კაცო, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი.

თანდო მიუახლოვდა და ყური დაუგდო საუბარს.

— რაღა ნუ მეშინია, კაცო—გაბრაგლოზდა პავლე.—ერთი კვირა რომ ასე დაგვიანდეს წვიმას, ჩემი ყანიდან ერთ ტაროსაც ვერ შევრტავ სახლში.

— პავლე, რატომ არსს არ მიუგდებ—იკითხა ვიღაცამ.

— ბარემ მეც მინდა, შე დალოცვილო, მაგრამ რომ არ უდგება! მიწას უნდა დადამლება, ბიძი, მიწას. მე მარტო სად შემიძლია, მოვხუცდი, მეზობლებს კი ვერ ვაწუხებ: ყველას ბევრი სამუშაო აქვს—დაათავა ნაღვლიანად პავლემ.

ჩვენ გავაკეთებთ მაგ საქმეს,—წამოიძახა აუცებ თანდომ და მოსაუბრეთა წრეში შევიდა.

გლეხებმა გაკვირვებით შეხედეს. ერთმა იკვეთა გაიღიმა.

— შენ ოღონდ დატრიალდი, იარაღები იშოვე! ხვალიდანვე მივესვეთ შენს ყანას, ორ დღეში ისეთ წყალს გადმოვიყვანთ, რომ ზღვასავით გაალურჯებს და აბიბინებს ყანას.

მეორე დღეს პავლეს ყანაში პიონერების მწყობრი სიმღერა ეგუგუნდა.

კ. ლ—ძე.

უცხოეთის ცხოვრება.

(საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა).

1. ჩინეთი ევროპის ბურჟუაზიის უღელ ქვეშ.

აზიის აღმოსავლეთის უდიდესი ნაწილი უკავია თვალუწვდენელ უზარმაზარ ქვეყანას—**ჩინეთს.**

იქ ოთხასი მილიონი მცხოვრებია; ბევრის თვალში ნახევრადველურ ქვეყანად არის წარმოდგენილი. მართლაც, იგი გაუნათლებელი, მეტისმეტად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო დღემდე, მაგრამ დღეს სულ სხვაა.

გაუნათლებელი და ჩამორჩენილი ხალხი რაც მრავალრიცხოვანი და ჯანსაღი გონდა იყოს, მაინც უძლურია განათლებულ ხალხთან შედარებით.

დღემდის ჩამორჩენილი და გაუნათლებელი ხდარა ოთხასმილიონიანი ჩინეთის მშრომელი ხალხი ევროპის ხალხს დღესაც ჰყავს **გაბატონებული კლასი**—ბურჟუაზია. ბურჟუაზია არის ის ნაწილი საზოგადოების, რომლის საკუთრებას წარმოადგენს ფაბრიკა-ქარხნები და რომლის სიმდიდრეს დღითი-დღე ემატება შემოსავალი ფაბრიკა-ქარხნებიდან, ვაჭრობიდან, ბანკებიდან და სხვა.

ეი ამ ბურჟუაზიის გაუმაძღრობა იქამდე მიდის, რომ ის არ კმაყოფილდება იმით, რაც აქვს, სურს მეტი, სურს იყოს „უგვირგვინო მეფე" მთელი სამყაროსი. მისი გაუმაძღრობა უკარნახებს, თავის სპილენძის ხელში გასწუროს მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი, გამოსწუროს ქვეყანას მთელი

„უცხოელების მოქმედება ჩინეთში„

ჩინეთი ევროპის ბურჟუაზიის გაუმაძღრობის და ე. წ. იმპერიალიზმის ლუკმა, მსუყე ლუკმა იყო.

რა არის იმპერიალიზმი, რომლის მსხვერპლი გამ-

წვენი და თავის ხელში დააგროვოს. **რომ მეტი გაჰყიდოს და ივაჭროს ბურჟუაზიამ,** რომ მეტი გასაღოს თავის ფაბრიკა-ქარხნებში, თავის ქვეყა-

ნაში დაგროვილი საქონელი—სანოვაგე, მას **სჭირია ბაზარი**, ესე იგი ის ადგილი, სადაც გაჰყიდის, სადაც ყიდველი იქნება. როდესაც ბურჟუაზიის თავის ქვეყნებში აღარ ჰყოფნის ბაზარი, როდესაც იგი აკმაყოფილებს თავისი ქვეყნის ყიდველებს და რჩება გასაყიდი ზედმეტი საქონელი, იგი ცდილობს **დაიპყროს სხვა ქვეყნები**, გაიბადოს იგი თავის დამონაგებულ ქვეყანად, და ამრიგად ამ ქვეყნის მშრომელთა ყველაფა - ექსპლოატაციასთან ერთად ჰყიდოს თავისი საქონელი. ასეთ დაპყრობილ ქვეყნებს **კოლონიები ჰქვია.**

კოლონიებად ხდებიან საერთოდ უფრო ჩამორჩენილი და სუსტი ქვეყნები. გარდა ამისა, ბურჟუაზია სცდილობს მონახოს დასაპყრობად ისეთი ქვეყნები, სადაც მეტი სიმდიდრეა, სადაც **მეტი ნედლი მასალაა**, ესე იგი, სადაც უფრო მდიდარი ბუნებაა: ხე, ტყე, წყალი, მდიდარი ქვები, ოქრო, მადანი, ცხოველები, ნავთი და სხვ. ეს სიმდიდრეები იზიდავს, როგორც ანდამატი, ბურჟუაზიას მდიდარი ქვეყნების დასაპყრობად.

ასეთ ჩამორჩენილ და სუსტ ქვეყანას წარმოადგენდა ჩინეთი. იგივე ჩინეთი იყო მდიდარი და მრავალრიცხოვანი ერით დასახლებული ქვეყანა. ჩინეთი მდიდარია თავისი ნედლი მასალით, ბუნების სიმდიდრით, რომლებიც დამუშავებას და ადამიანის ხელს თხოულობენ. ამიტომ იყო, რომ ევროპის, განსაკუთრებით კი ინგლისის, და სხვა ქვეყნების ბურჟუაზია დაეწაფა გასაყლეფად ჩინეთს.

დიდი ხანია სწოვს სისხლს ჩინეთის მუშათა კლასს და მრავალრიცხოვან გლეხობას ინგლისის ბურჟუაზია. ინგლისელებმა დაარსეს ჩინეთში თავის წარმომადგენელთა კსელი და თავის წარმომადგენლების საშვალებით ვაჭრობენ იქ, ყველფენ იქაურ ხალხს, აარსებენ ქარხნებს და ფაბრიკებს და ორ გროშად, თითქმის უფასოდ, ძალით ამუშავებენ. ჩინელებს თითქმის ცხოველებად სთვლის ეს „განათლებული“ ხალხი, არ აძლევს მათ ნებას თვით ჩინეთში ქალაქს იმ ადგილებში გაელისას, სადაც უცხოელი მდიდრები ცხოვრობენ. მაგალითად, ტფილისში სოლოლაკში რომ უცხოელი ვაჭრები და მდიდრები ცხოვრობენ და ქართველებს ან ტფილისის ადგილობრივ მცხოვრებლებს ნება არ მისცენ სოლოლაკში გაელისა. იყო ასეთი შემთვეაც: ჩინელ ჯარისკაცს, რომელმაც გაბედა უცხოელების უბანში გაელა, უცხოელების პოლიციელებმა სცემეს. ყველა მათ, ვინც გაბედავს ენის შებრუნებას უცხოელ მდიდარზე, ან გაიელის მათ უბანში, უცხოელები უწყალოდ სცემენ.

ასეთ ჩაგრაში არიან დღემდე ჩინელები: მათ ამუშავებენ, მათ ჰყლეფენ, მათ ბამენ ცხენის მაგივრად ურემსა და ეტლებში და ამის სამაგიეროდ მათვე სცემენ, მათვე ხვრეტენ, მათვე ანდგურებენ, მათვე ჰყრიან ციხეში.

აუტანელ ჩაგრასა და გმინვაში სცხოვრობს დაჩაგრული ჩინელი მშრომელი ხალხი.

დიდხანს ითმენდა ჩინეთის მშრომელი ხალხი. ითმენდა და ვეთმენდა, მაგრამ ახლა აღარ დაეტია ბოლმა გულში, ვერ აიტანა ჩინეთმა მომსკდარი სევდა და ამობოკრდა, როგორც მდელვარე ზღვა, აღელვდა და წალეკვას უქადის სისხლის მსმელ მეტბატონეებს—როგორც უცხოელებს, ისე შინაურ მანდარინებს.

ორი მთავარი გარეშე ქვეყნების ბურჟუაზია სჩაგრავს ჩინეთის ხალხს: ინგლისის და მეზობელი იაპონიის.

ჩინეთის დედაქალაქი, ისე, როგორც საქართველოსთვის ტფილისი და რუსეთისთვის მოსკოვი, არის პეკინი. მაგრამ სხვა დიდი ქალაქებიც უზარმაზარ ჩინეთში ბევრი მოიპოვება. განსაკუთრებით დიდი ქალაქები არის ზღვის პირეში, სადაც საზღვარგარეთიდან მოდიან გემები, სადაც თავს იყრის ქარხნისა და ფაბრიკის მთელი წყება და მათი მეპატრონე უცხოელები.

ასეთი დიდი ქალაქი ნავთსადგურით, ბევრი ფაბრიკა-ქარხნით—არის შანხაი. შანხაიში ბევრი მუშა-პროლეტარი მუშაობს ქარხნებში. ქარხნები, თითქმის ყველა, უცხოელების—იაპონელების და ინგლისელების—არის.

და აი ამ ქარხნების მუშებმა პირველმა დაიწყეს ბრძოლა და გამოსვლები ჩაჩაგრელთა წინააღმდეგ. მუშებმა პირველ რიგში თავის ინტერესების დასაცავად ჯამაგირის, მუშაობის სულ უმნიშვნელო ხელფასის გადიდება მოითხოვეს. და როცა მეპატრონენი არ ასრულებენ მათ მოთხოვნას, მუშები გაფიცვებს ამდენენ, რასაც ჩაჩაგრელები მეთაურთა და ბელადთა დატუსაღება-დახვრეტით უპასუხებენ.

როცა მუშები აღელვდებოდენ სამართლიანობის ძიებაში, სამართლის მაგივრად მათ ტყვიით და ტყვიის მფრქვეველთა ცეცხლით უპასუხებდენ ინგლისელი, ამერიკელი, იაპონელი და სხვა მეპატრონები. ისინი ასობით ჯარისკაცებს და პოლიციელებს აყენებენ ქარხნების ირგვლივ მუშების მღელვარებიდან თავის დასაფარავად. მუშები ბარიკადებს აშენებენ ქარხნებში და პოლიციას ასე ებრძვიან! ნამდვილი ომი სწარმოებს!

ამა წლის 15 მაისს, მაშინ, როცა ჩვენში მუშათა კლასი გაზაფხულის ზეიმს იხდიდა, როცა

*) მანდარინი—ჩინურად მეპატონეს ნიშნავს.

ჩვენი პიონერების საზაფხულო ბანაკები ზეიმობდენ, ქალაქ შანხაიში მოკლულ იქნა რამოდენიმე მუშა, სამართლის ძიებისთვის ქუჩაში გამოსული. მთელი ჩინეთი აღფოთდა ამ მკვლელობამ. ამას შემდეგ დაიწყო ის დიდი აჯანყება-გამოსვლები, რომელიც ახლაც გრძელდება მთელ ჩინეთში.

შანხაიდან აჯანყება თელ ჩინეთს მოედო.

შანხაიში ქუჩაში გამოდიან დემონსტრაციით და მოითხოვენ უცხოელ მეტატონეთა განდევნას. „ძირს იაპონელთა იმპერიალიზმი“, „გახსოვდესთ, ამხანაგებო, მოკლული ამხანაგები“, „გაუმარჯოს თავისუფალ ჩინეთს“—გაიძახიან აჯანყებული ჩინელები.

ამ-ამად *) მარტო ქალაქ შანხაიში 50,000 მუშაა გაფიცული, ბრძოლა გრძელდება, არცერთი ქალაქის დაწესებულება ან ქარხანა არ მუშაობს, მუშები თავს იყრიან ქალაქის ჩინურ ნაწილში.

მაგრამ სისხლი ამაგრებს ადამიანებს, სისხლით ვერ შეაშინებენ მათ, ვისაც წლობით გულში დაეგუბა ბოღმა! თუმცა უიარაღოა 50,000 ჩინელი მუშა და მათი ოჯახები, მაგრამ უძლეველი არიან ისინი..

მათ გვერდში უდგიათ საბჭოთა რუსეთი; საბჭოთა რუსეთი და წითელი საქართველო—მათი მოძმეა ბრძოლაში. ჩინელებიც თავგანწირვით იბრძვიან: ერთ ჩინელს თითი მოსჭრეს, ციხეში დაამწყვდიეს, და მან სისხლიანი გადაჭრილი თითით დაწერა კედელზე:

„გაუმარჯოს თავისუფალ ჩინეთს“
„გაუმარჯოს წითელ რუსეთს“.

ასეთი თავგანწირული არიან ჩინელები. ბავშვებიც კი გამოდიან საბრძოლველად ქუჩაში. ეი რას წერს ამის შესახებ ჩვენი თავისუფალი წითელი პიონერების საყვარელი პოეტი კ. ლორთქიფანიძე:

„ახლა მის მზგავსად ბელადობს ვან-ლი*)
და უფრთდება იმ ხალხის გრგვინვას,
სადაც პროტესტის მქუხარე ალი
გაშმაგებული ჰკიავს და ჰკივა:
„ძირს ინგლისელი, ძირს მცარცველები“,
ვან-ლი იჭიროს სიტყვებს ხმაურში,
და ხის კიბეებს თავზე ევლება,
თითქოს მზად არის ფრთები აუშვას“.

ეი ასე იბრძვიან ჩვენი მკითხველების, პიონერების ხელა ბავშვები ჩინეთში; იმათ ჯერ ვერ მიაღწიეს იმ თავისუფლებას, რომელიც მოუპოვეს ჩვენს პიონერებს ჩვენმა რევოლუციის მაჯებმა.

*) ეს ამბავი იწერება ივლისის პირველ რიცხვებში.

*) ვან-ლი ეატარა ჩინელის სახელია. იხილეთ პოემა „ვან-ლი“ ნორჩ პიონერთა დეკალამატორობა“

მაგრამ შორს არ არის ის დროც, როდესაც შესრულდება ჩვენი მასწავლებელის და ჩვენ-ლის კარლ მარქსის წინასწარმეტყველება:

მაშინ, როცა ევროპის ბურჟუაზია
დაღუპვის და ლპობის პროცესში იქნება,
მაშინ, როცა ევროპის ბურჟუაზია
გაეშურება ჩინეთისკენ
უკანასკნელად სულის მოსათქმელად, ალბათ,
ჩინეთის დიდ უქველეს ქვის კედლებზე
იქნება წარწერა:
ჩინეთის რესპუბლიკა,
თავისუფლება,
ძმობა,
ერთობა.

ბიჭიკო.

მარიკო და რიფები.

მარიკო ყვავილოვანი კარებია საქარის ცხელი უდაბნოსი, ნაყოფიერი ვაკეა ატლანტის ოკეანეს ნაპირებიდან ატლასის მთებამდის. მარიკო ჯერ კიდევ ამ 30 წლის წინ საუკეთესოდ იცავდა თავის ტერიტორიას ევროპელებისაგან და ინახავდა თავის ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს.

ნაყოფიერი მინდვრები, სადაც წელიწადში ორჯერ ჰკრეფენ ქერის, ცერცვის და ხორბლის მოსავალს; აყვავებული ბაღები და ბუჩქნარი ნუშისა, ზეთისხილისა, ფინიკისა, ფორთოხლისა; მსუქანი ველები გორაკ-ბორცვებზე, სადაც უხსოვარი დროიდან უდარდელად სძოვენ ასეულ ათასეული ცხვარი, ფეები; მთები—სავსე ყოველნაირი მადნით,—აი მარიკო!

ჰავა—თბილი, საქარის უდაბნოს ცხელ ქარებისაგან მთებით დაცული!

ვინ არ შეჰყურებდა ათასეულ წლების განმავლობაში ამ მდიდარ ქვეყანას! ფინიკელები, კართაგენელები, რომაელები, არაბები, პორტუგალელები, ახლა—ესპანელები და ფრანგები.

3000 წლის წინ მშვიდად ცხოვრობდა აქ ძირითადი ტომი—**ბერბერები.**

მაგრამ ერთი-ერთმანეთს მოსდევდენ დამპყრობელნი, ბერბერები მთებში არეკეს, თვით კი დაბლობებში დასახლდენ და მცხოვრებლებში გაითქვიფნენ.

უფრო მტკიცე მეტატონენთ არაბები შეიქნენ, ბერბერებს შეერიენენ, მავრების ტომი შექმნეს. სწორედ აქედან გადავიდენ მავრები ოდესღაც ესპანეთში, დაიპყრეს იგი, მაგრამ შემდეგ ისინი უკანვე გადმორეკეს.

ამჟამად მაროკოში 30.000-ზე მეტი მცხოვრები ითვლება: არაბები, ებრაელები, ბერბერები, ზანგები და ევროპელები. ბერბერები რომ წავიდნენ მთებში თოსეული წლების წინეთ, ახლაც იქ არიან; წმინდად შეინარჩუნეს მათ სიყვარული თავისუფლებისადმი.

ჩრდილო ბერბერებს **რიფები** ეწოდება. რიფების მთები ატლასის მთების ჩრდილო გრეხილს



წარმოადგენს, რომლის ხეობებში და კლდე-კარებში ოდესღაც სრუტეს ტალღები ნავარდობდენ და ღრიალებდენ; თვით სრუტე კი ატლანტის ოკეანეს აერთებდა ხმელთაშუა ზღვასთან. იმ უხსოვარ ხანაში გიბრალტარის სრუტე არ არსებობდა.

ევროპულ დაპყრობის რგოლი.

„ცივილიზატორი“ ევროპელები მჭიდრო რგოლად შემოერტყნენ მაროკოს: ჩრდილოეთით საერთაშორისო ზონა—ტანჟერისა და ესპანეთის ახალშენი, ჩრდ.-აღმოსავლეთით—საფრანგეთის ახალშენები—ალჟირი და ტუნისი, სამხრეთით—ესპანეთის ახალშენი **ოქროს ნაპირი**.

თუ კიდევ შეეფწროდება ეს რგოლი, მაროკელებს ასარჩევი გაუხდებათ ერთ-ერთი გზა: ან ატლანტიის ოკეანეს ტალღები—დასავლეთით, ან საჰარის ცხელი ქვიშა—აღმოსავლეთით.

პირველად არ ჯანყდებიან მაროკოელები ევროპელების უღლის წინააღმდეგ. წლები 1863—1871—1875—1905—1912 სისხლიანი წლებია, თავისუფლებისათვის ბრძოლის წლებია მათთვის.

ხალხი და შეიხები.

მაროკოში მეტად ძლიერია კლასობრივი განსხვავება. ხალხი—დამონებულია, დაჩაგრული, მხოლოდ ახლა თავისუფლდება ის ნელ-ნელა ... გიერ ცრურწმენის უღლისგან.

რელიგია მათი მაჰმადიანობაა და ხელმძღვანელი იდეა კი პანისლამიზმი, ე. ი. მსოფლიოს დაპყრობა მუსლიმანების მიერ; და ბოლოს რჩება—მკაცრი რელიგიური დისციპლინა, რომელიც რელიგიური „ძმობისადმი“ სრულ მორჩილებას მოითხოვს. ასეთი „ძმობა“ კ. ე. წ. „ზაუია“—მაროკო-

ქალი მაროკოში.

ქალები მაროკოში, ისე, როგორც ყველა მუსლიმანი ქალი, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან, სახლებში სხედან, ქუჩაში ჩადრებში გამოდიან.

ერთადერთი დროს ვატარება მათი პარასკეობით სასაფლაოზე გასეირნებაა. ამ დღეს ვერცერთი მამაკაცი ვერ მივა სასაფლაოზე, უფლება არა

აქეს. ოჯახი, შვილები, ქმრის სიამოვნება და მორჩილება, — აი არაბის ქალის მთელი ცხოვრება!

მაროკოს ბავშვები.

ქალები პატარაობიდანვე ჰარამზანის მხეკლებად მზადდებიან.

ვაჟები სწავლობენ ხელობას, ხელოვნებას და წერა-კითხვას. მაროკოელების მეცნიერება მარტივია: წერა-კითხვა და ყურანი (მუსლიმანების საღვთო წიგნი). — ათეული თაობანი არკვევენ ამ წიგნის ტექსტებს, სწავლობენ მას, ხსნიან, ახლო ახსნას ეძებენ.

მხოლოდ უკანასკნელ დროში დაიწყეს ყმაწვილების გაგზავნა ევროპის სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

რიფები — მთის ტომი.

მთელმა ბერბერებმა და კერძოდ რიფებმა ძველი ზნე-ჩვეულებანი შეინარჩუნეს. მათი ქალი თავისუფალია, ქალაქებს არ აშენებენ, დაძრწიან ჯოგებით ხეობიდან ხეობაში ახალ საძოვრების საძებნელად. შეიხობაც მათში ნაკლებადაა განვითარებული, ვინაიდან შეიხები არაბების ჩამომავალნი არიან, ბერბერები კი ისე ადვილად არ ითქვიფებოდენ შემოსეულებში.

მთები მათ დამოუკიდებულებას აძლევს და შეიხების ბრაბალებისაგან იცავს; ჯოგი აძლევს მატყლს ტანსაცმელისათვის, მთის ხეობაში დამუშავებული მინდვრები კი გამოსაკვებ საჭირო პურს და მწვანილეულობას; ეკონომიური ბლოკადა მათთვის საშიში არ არის. გაჭირვების დროს თავის მეურნეობის პრიდუქტებით ისინი მშვიდად იცხოვრებენ და სხვის საქონელს არ დაეხარბებიან.

აბდ-ელ-ქერიმი.

უცხოელ ფლის წინააღმდეგ აჯანყებულ რიფების რევოლუციონერი ბელადია აბდ-ელ-ქერიმი.

იგი დაბალი კასტის წარმომადგენელია.

ბავშვობაში ცნობასმოყვარე იყო და მთებიდან დაბლობში ჩავიდა, ფრანგებს ჩაუვარდა ხელში, მოიწონეს, მისცეს განათლება და იგი დიპლომატიურ კორპუსში შევიდა 1920 წელს, ესპანელ გენერალ სილვესტრთან.

მაგრამ ბუნებით ფიცხმა ქერიმმა ესპანელების რისხეა და ვულისწყრომა გამოიწვია, რისგამო დახვრეტა მიუსაჯეს.

აბდ-ელ-ქერიმს დიდხანს არ უფიქრია, — მშობელ მთებში გაიქცა, ფეზზე დაიყენა თავისი მოძმენი და რამდენიმე კვირის შემდეგ თავის გარშემო 2500 კაცისგან შემდგარი გვარდია შემოიკრიბა.

წელიწადიც არ გასულა, რომ ეს რიცხვი გაოთხკეცდა. მინდვრის სამუშაოდან, ოჯახიდან თვეებში კი მისი აკვნია 25000 კაცს აღწევს.

როგორ იბრძვიან რიფები.

არა ერთხელ უკითხავთ თავის თავისათვის ფრანგებს და ესპანელებს, თუ როგორ ეწინააღმდეგება რამდენიმე ათასეულ მეომრიდან შემდგარი უმნიშვნელო რაზმი 25—30000 კაცისგან შემდგარს არმიას?

მაგრამ რიფებმა ხომ ყოველი ქვაც კი იციან თავის სამშობლოში, თვითეული ბილიკი მშობლიურ მთებისა! ისინი უეცრად ჩნდებიან იქ, სადაც მათ არ ელიან, ევროპელების სადარაჯოებს იკავებენ.

არა ერთხელ დაუცლიათ ევროპელებს სამარცხვინოდ თავისი სადარაჯოები, დაუხვეთათ შორს, რიფებისათვის დაუტოვებიათ იარაღის და საკვების საწყობები.

რით დახძლიეს რიფებმა?

მაროკოელების ყოველი აჯანყება აქამდის მარცხით თავდებოდა და ევროპელები მაროკოელების მიწაწყლის ახალ-ახალ ნაკვეთებს იკავებდენ.

75 წლის განმავლობაში პირველად მიიღეს მაროკოელებმა წინადადება ზავზე ევროპელების მხრით.

ამის მიზეზი ისაა, რომ ტომები აქამდის განცალკევებულად გამოდიოდენ, ჯერ კიდევ ვერ შეეგნოთ საერთო ინტერესები. რიფებმა კი საბრძოლველად ბერბერების ყველა ტომები აწალეს უცხოელ ბატონების წინააღმდეგ.

აი, ამიტომ, გაათავებენ თუ არა სამეურნეო მუშაობას ველებში, აბდ-ელ-ქერიმის დროშისკენ გარბიან თოფით ხელში.

ეს პირველი თვითშეგნებაა ხალხისა, ეს აბის გაღვიძება ნაციონალური გრძნობისა, ეს არ არის ფეოდალება რელიგიური ფანატიზმისა, ეს აოის **კლასიური ბრძოლა სოფლის პროლეტარიატისა უფლების მოსაპოვებლად.**

III ომი მაროკოზე.

უკვე 6 თვეზე მეტია, რაც რიფები გმირულად იგერიებენ საფრანგეთის იმპერიალისტურ თავდასხმას.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ჯარი უფრო დიდია, ვიდრე აჯანყებულნი, და შეიარაღებულია ზარბაზნებით, აეროპლანებით და სურსათიც უფრო ბევრი აქვს, ის მაინც ვერ ახერხებს რიფების დამარცხებას.

თვით საფრანგეთში პროლეტარიატი დიდად უკმაყოფილია მაროკოს ომით. საფრანგეთის მთავრობა დაიბნა და ალარ იცის რა ჭკნის, რადგან ადგილობრივმა კომუნისტებმა სული შეუხუთეს შეკითხვებით და მათი მხეცური ზრახვების გამოაშკარავებით. ამისათვის საფრანგეთის მთავრობამ დაიწყო ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ, რომელნიც ხელს უშლიან აფრიკის ახალშენების დაპყრობაში. გაჩხრეკილი და დაპატიმრებულია მთელი რიგი კომუნისტებისა, რომელნიც აგიტაციას ეწეოდენ ომის წინააღმდეგ, მაგრამ ბურჟუაზია ამით არა კმაყოფილდება და მოითხოვს უფრო სასტიკ ზომებს. ამავე დროს რიფებს უერთდებიან აფრიკელი სულ ახალ-ახალი ტომები, რომელთაც სურთ განთავისუფლება იმპერიალისტების უღლიდან. შიგნით საფრანგეთის ჯარშიც დიდი განხეთქილება სუფევს, რადგან არ იციან, რისთვის გადმოიყვანეს ისინი შორეულ აფრიკაში და [illegible] ისინი, რის გამოც იგი ხშირად მარცხდება. აუტანელი სიცხის გამო (50—60 გრადუსის) საფრანგეთის ჯარში ვრცელდება სხვადასხვა ავადმყოფობა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მთავრობა ხშირად სცვლის მთავარსარდლობას და გენერლებს, მაინც არაფერი არ გამოდის, ეს არას შველის. ამასწინათ აჯანყებულთა წინამძღოლმა აბდ-ელ-ქერიმმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა ზავზე, თუ საფრანგეთი გაიყვანს მაროკოდან ჯარს და იცნობს რიფების დამოუკიდებლობას. მაგრამ იმპერიალისტებმა უარი განაცხადეს ამ წინადადებაზე, რადგან მათ სურთ მაროკო მიწასთან გასწორონ და მისი სიმდიდრით თავისი ჯიბე გაისქელონ.

მანგლისის მეთაურების კონფერენცია.

ქ. მანჩაი.

ლი-ლუ და ჩუნ

(ჩინელ მათხოვარ ბავშვების ცხოვრებიდან).

შანხაის ვიწრო, აშმორებულ ქუჩებში დაეხეტებოდენ ჩინელი მათხოვრები, რომლებიც ლანდებს ჰგვანდენ. ეს ის დრო იყო, როდესაც მთავარ მკრთალად აშუქებდა ჩინეთის ქალაქს.

აი, იქ, კუთხეში, ვიღაც ბავშვი წატორტმანდა; აგერ, მეორე ბავშვმა, მასაეით ჭუჭყიანმა და ძონძებში გახვეულმა, გადაირბინა ქუჩა და ამხანაგს მოეხმარა.

— ლი-ლუ, რა დგემართა?

— არაფერი, ჩუნ... მშია.—სთქვა ლი-ლუმ, მოიკრიბა ძალა და ნელი ნაბიჯით გაეშურა დაკლაკნილ ქუჩაზე, რომელსაც ფერადი ფანრები თითქოს ანათებდენ.

რა არის ლი ლუს ცხოვრება? მხოლოდ წვალება და სხვა არ-ფერი! იგი მათხოვარია. და ეს მათხოვრობის წოდებაც მან დიდი ვი-ვაგლახით მოიპოვა. იგი თითქმის ხუთი თვე შიმშილობდა. მისი შიმშილობა იქამდის მიდიოდა, რომ ხანდახან იგი ღიჭდა ფეხსაცმელის შირას, სადმე ქუჩაზე ნაპოვნს, რომ ამითი მაინც მოეტყუებინა თავისი კუჭი. ხუთი თვის შიმშილი ადვილი საქმე არ არის, მეტადრე 13 წლის ბიჭისთვის. შემდეგ ლი-ლუმ მათხოვართა ბელადის წინაშე დიდის ხვეწნით მიიღო მათხოვრის ხარისხი და ძველ ხიდთან სამათხოვრო ადგილზე დგომის ნებართვა. ეერც მარხოვრობამ მოუტანა ბევრი სასიხარულო გამხდარ, მაგრამ გულგაკეტებულ ლი-ლუს. იგი მხოლოდ ცოტა უფრო უკეთ აცხოვრებდა. მართალია, მას აღარ სდევნიდენ პოლიციელები და მათხოვრები, მაგრამ სამაგიეროდ მას მიწერილი ჰქონდა გადასახადი, რომელიც მათხოვრების ბელადისათვის უნდა ეძლია, და ლი-ლუმ იცოდა, რომ, თუკი იგი არ გადიხდიდა, მას დაიბარებდა ბელადი, გაასამართლებდა და, თავისთავად ცხადია, ლი-ლუს გაწკეპლავდენ.

აი, სწორედ დღეს გადიხადა ლი-ლუმ გადასახადი და უკაპეკოდ, მშიერი ბრუნდებოდა სადღაც მიწისქვეშა სარდაფში, რომ დაესვენებია თავისი დაღლილი კუნთები. იგი იმედოვნობდა აგრეთვე ვირთაგვის დაჭერას, მის შეჭმას.

შანხაის მთავარ ქუჩაზე კი კობტად ჩაცმული, მხიარული, მაძღარი ხალხი დასეირნობდა. ზოგი ტკბილეულობას ყიდულობდა. ევროპულად ჩაცმული ხალხი იჯდა ევროპულ კაფეში, რომელიც ხალხით გატენილიყო, რომელშიაც მუსიკა უკრავდა, რომელთანაც მიკურავდენ ახალ-ახალი ავტომობილები, გადმოდიოდა ხალხი და შედიოდა კაფეში, გამოდიოდენ კაფიდან. ძალიან, ძალიან ბევრს შეეძლო აქ, ამ მთავარ ქუჩაზე, თავის განებივრებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. აქ დადიოდენ მდიდარი ჩინელები. მარტო აქ იყო სიმხიარულე და უამრავი ფული იხარჯებოდა ამ მხიარულების მოსაპოვებლად.

ვინ იყო ლი-ლუს მამა? ვინ იყო ლი-ლუს დედა? არავინ, არავინ არ იცოდა! არც ლი-ლუს ახსოვს!

მას ჰყავდა და-ძმა, რომელნიც შიმშილისაგან რამოდენიმე წლის წინ მოუკვდნენ, როდესაც მოფლიო ომი იყო და ამიტომ ბრაშუმის და ჩაის ვაჭრობა დროებით შეწყდა. ხალხი გაღარიბდა და ბავშვებსაც ცოტა რაშეს აძლევდენ. სწორედ ამ დროს დაეხოცა ლი-ლუს და ძმა და ისიც გასაკვირი იყო, რომ ის ცოცხალი დარჩა.

ლი-ლუს ერთადერთი მიზანი იყო ის, რომ მას უნდოდა რაკშ ს*) შეძენა, ცხენივით შიგ შებმა და მდიდარი ხალხის ტარება. იგი უფრო მეტ ფულს შეიძენდა ამ მოშობაში და ან იქნებოდა მშიერი. ამიტომ ება იღლიის ქვეშ ლი-ლუს პატარა ტომარა, სადაც ჩუმად აგროვებდა ფულს, დაერნებით აგროვებდა ფულს, ებრძოდა შიმშილს და ყოჩაღად უახლოვდებოდა თავის მიზანს. არავინ იცოდა პაწია ბიჭის საიდუმლო, თვით ლი-ლუ ცდილობდა შიმშილის დროს ამ საიდუმლოს დავიწყებას.

ნოტოო სარდაფი ყარდა და ჰაერი დაბუთული იყო. რაღაც ჭუჭყიანი ძონძები მიყრილი იყო ნესტიან იატაკზე; ჭრაქი მკრთალად ანათებდა. ამ ძონძებში გახვეულიყვნენ მთხოვრები და ეს სარდაფიც მთ ეკუთვნოდათ. ლი-ლუ რომ შემოვიდა, ვიღაცამ თავი ასწია და წაიჩურჩულა:

— ლი...

— ჩუნ? რა ამბავია?! — შეეკითხა პატარა ბიჭს ლი-ლუ.



— ლი, მე რაღაც უნდა გითხრა, გავიდეთ.

— არ შემიძლია, ჩუნ. რომ იცოდე, როგორ მშია და დავიღალე..

— გავიდეთ, ლი, მე ძალიან დიდი საქმე მაქვს!

ლი-ლუ დაფიქრდა: „ჩუნ კარგი ბიჭია. ის ასე ტაუელი უბრალოდ არ დაუძახებდა ლი-ლუს — და ლი-ლუ გაჰყვა ჩუნს.

— რა იყო, ჩუნ?

— შენ რომ ფული გქონოდა, ლი, რას იყიდდი? შენ რომ ძალიან ბევრი ფული გქონოდა, ორი მანეთი, ლი, ორი...

*) ურიკა, რომელშიც ებმება ადამიანი.

— რატომ მკითხავ მაგას, ჩუნ?

— იმიტომ, რომ მე მინდა, რომ ჭქონდეს ორი მანეთი.

— მე რომ მქონდეს, ჩუნ, ვიყიდდი რიკშს!

— მეც, ლი, მეც ეგ მინდოდა.

— მერე რა გინდა ამით სთქვა, ჩუნ?

— ის, რომ მე მაქვს ოთხი მანეთი, ლი.

ლი-ლუ გაშეშდა, თვალები დაჭყიტა და მის დამწვარ ლოყებს უცნაური სიფითრე დაეტყო.

— შენ, ჩუნ?!

— მე, მე, ვიპოვე ოთხი მანეთი, სრული ოთხი მანეთი და ქისა. ო, ლი, ჩვენ ხომ ძალიან მდიდრები ვართ ახლა.

— სსუუ — გაიჩუმა ლი-ლუმ მეგობარი და ქურდივითი მიიხედ-მოიხედა ბნელ ქუჩაში. — ამაზე გეკეყოფა ლაპარაკი, დავიძინოთ.

ორი ამხანაგი ფრთხილად შევიდა სარდაფში. სადაც მიეგდენ და ძილს მიეცენ, ძილს, რომელიც მათთვის, მიუხედავად აღელვებისა, ასეთი ტკბილი იყო.

შუაღამისას ვიღაც წამოდგა, მივიდა უახლოეს მეზობელთან, ფრთხილად გაშინჯა და შემდეგ გაჰქრა სარდაფიდან.

მას, ალბათ, ძალიან შიოდა, იმიტომ რომ მისი მუცელი უცნაურად, საზიზღრად გაბერილიყო.

II.

დილით ადრე მათხოვრებს გამოეღვიძათ და თავისი ყაყანით გამოაღვიძეს ლი-ლუც. ლი-ლუმ მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ჩუნ სარდაფში არ იყო.

— ნუთუ დამესიზმრა? — წაიბუტბუტა ლი-ლუმ, წამოდგა და ხიდისაკენ გაეშურა სამთხოვროდ. როგორც იყო, მიუახლოდა თავის სამთხოვრო ადგილს, მუხლები ჩაეკეცა და ულონოდ დაეცა ქვაფენილზე. ბუზები დაესხენ ჭუჭყიან ბიჭუნიას. ვიღაც ჩინელმა გოგონამ გაიარა, დაინახა საწყალი ლი-ლუ და ჩაუდგა მას გაწვდილ ხელში ორი კაპეიკი. ლი-ლუმ უფაზროდ შეხედა ფულს, შემდეგ გამოფიზიზდა, მოიკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე, წამოხტა და გაეშურა მებრინჯაოსთან.

მას მ.სცეს სავსე ჯამი ბრინჯი. იგი გაშმაგებით შეეკაცა მას და რამდენიმე წუთში გაიკარგა ჯამი. ბავშვ უცემ გამოცოცხლდა, დაუბრუნდა ძველ ადგილს და უფრო ძლიერული თვალებით უყურებდა გამვლელ-გამომვლელთ. აი, რა იყო მისი ბედნიერი წუთები.

როცა იგი დაბრუნდა სარდაფში, მან შეამჩნია, რომ ჩუნს უკვე ეძინა. ლი-ლუმაც დაიძინა

და როცა გაიღიძა, ე. ი. მეორე დღეს, ჩუნი სარდაფში აღარ იყო.

კარგი დრომ გაიარა ისე, რომ ლი-ლუ ვერ დაელაპარაკა ჩუნს. მართალია, ლი-ლუს ეს არ აწუხებდა, მაგრამ მაინც ხანდახან აფიქრებდა, თუ რატომ ჩუნ, ის ჩუნ, რომელიც უწინ ყოველთვის მოუთმენლად მოელოდა ლი-ლუს, ახლა არც კი ელაპარაკებოდა, ელაპარაკებოდა კი არა, დილით ლი-ლუ ვერც კი ხედავდა ჩუნს.

ლი-ლუს დადის ვაი-ვაგლახით შეავსო საჭირო თანხა და რიკშა იყიდა. მოაშორდა მეზობლებს და მათ სარდაფს. შედარებით უფრო კარგი ცხოვრება დაიწყო, მაგრამ მას რაღაც აწუხებდა. იგი რამდენჯერმე წავიდა მეთხოვრების სარდაფში ჩუნის სანახავად, მაგრამ ჩუნ ვერც ერთჯერ ვერ ნახა.

— საკვირველია, რატომ გმირმა ჩუნ, რატომ?!?—ჰფიქრობდა ლი-ლუ და ვერ ეპასუხნა ამ კითხვაზე.

ლი-ლუს ახლა მუშაობამ ბევრი არაფერი შეჰქმნა. პირიქით, მის ისედაც გამხდარ სხეულს უფრო დაეტყო გამხდრობა, თუმცა შედარებით კარგად იკვებებოდა მას ძალიან ბევრი ძალ-ღონის დახარჯვა სჭირდებოდა, როდესაც მის რიკშაში ვინმე ჯდებოდა და მას იგი უნდა ეტარებინა უსწორმასწორო ქვაფენილებზე. ბავშვი ჭარბნობდა ტკივილებს კუნთებში, მთელ სხეულში; თავი მძიმე ჰქონდა და თვალები ცრემლებით ეესებოდა. ასეთი მოვლენა ლი-ლუს ცხოვრებაში იშვიათი არ იყო, მაგრამ ასე გამწვავებულად განიცდიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რიკშა იყიდა, და ნამეტნავად მაშინ, როცა შიგ ვინმე სქელი ევროპელი ჩაჯდებოდა ხოლმე და უმოწყალოდ უჯავრდებოდა ლი-ლუს. აი, ახლაც ვიღაც გამდინარილი, სქელი, პირში სიგარაგაჩრილი ევროპელი უყვიროდა:

— ჰეი, შენ, ძაღლის ლეკვო, გაიქეცი, გაი-

ქეცი, თორემ კაპეკსაც ვერ მიიღებ. ჰეი, შენ, გესმის?

ლი-ლუმ დაჭიმა კუნთები, მირბოდა თავგამეტებით. მირბოდა ცხელ ქუჩაში და ყოველი ნაბიჯი აუტანელ ტანჯვას ჰგვრიდა. მისი თვალები უკვე ძლივს-ღა არჩევდა საგნებს, მისი ტანისამოსი (თუკი შეიძლება მას ასე დავარქვათ) ოფლში გაწურულიყო. ლოყები გასწითლებოდა და ოფლის ქვეშ მზისავან ბრწყინავდა.

— ჰა, ჩქარა, ჩქარა—გაისმა ისევ ბრაზიანი ხმა.

პირდაპირ გასაოცარი იყო: საიდან პოულობდა ბიჭუნია ძალ-ღონეს. ფეხზე ხომ ცერი გასისხლიანებული ჰქონდა, მისი ხელები ხომ სხლტოდა რიკშის სახელურებზე, ლი-ლუ ხომ ტორტმანით გარბოდა.

— ჰეი, შენ...-და სქელმა, პირში სიგარაგაჩრილმა კაცმა ჩასცხო წინილი ბიჭუნიას. ლი-ლუმ ვერც კი იგრძნო, მხოლოდ სირბილს უმატა. ქუჩა კი არ თავდებოდა, ხალხი წამდაუწუმ გადადიოდ-გადმოდიოდა. ავტომობილები დაძრწოდენ და ლილუ კი გარბოდა, გარბოდა, რაც ძალი და ღონე შესწევდა.

— ჰეი, შენ...-გაისმა კიდევ და უზარმაზარი ჩიქმა მძლავრად მიეხალა პაწია ბიჭის ზურგს. იგი წაბარბაცდა, რიკშა დაეჯახა და ლი-ლუ დაეცა მიწაზე.

სქელმა, პირში სიგარაგაჩრილმა კაცმა დროზე მოასწრო გადმოხტომა. იგი მიეახლოვდა ბიჭუნას, მიაფურთხა, დაუდგა ფული და წავიდა.

ლი-ლუს ირგვლივ ხალხი შეგროვილიყო და ყაყანებდა.

— ეგრე უნდა, რას მიაქანებდა...

— აია, მაინც ცოდეა...

— ქურდი იქნება...

— დაუახეთ პოლიციელს...

— რა დროს პოლიციელია, ბიჭი კვდება!..

უცებ ხალხი გაიპო და გამოჩნდა ვიღაც პატარა, ძონძებში გახვეული მეთხოვარი. იგი მიეუახლოვდა ლი-ლუს, შესდგა, თითქოს რაღაცა ეძენელებოდა. შემდეგ დაჭიმა ძარღვები, აიყვანა ხელში ლი-ლუ, ჩასვა რიკშაში, დაიკუზა, აიღო ფული და ჩაუდგა ლი-ლუს ჯიბეში, შემდეგ შეება ცხენივით და წაიყვანა რიკშით, რიკშის პატრონი.

ლი-ლუ გონს მოვიდა, გაახილა თვალები და აათვალიერ-ჩათვალიერა იქაურობა. იგი ისევ მათხოვრების სარდაფში იწვა. უცებ მან შენიშნა, რომ მის თავთან ჩუნ მომჯდარიყო.

— ჩუნ?

— მე, ლი...

— რა მოხდა. ჩუნ? ჭო, ჭო, მე ვიცი რა მოხდა, მერე, მერე რა მოხდა, ჩუნ?

— მერე მე ჩაგსვი რიკშაში და მოგიყვანე.

ორივენი გაჩუმდნენ. შემდეგ სიჩუმე ჩუნმა დაარღვია.

— ლი, მე დიდი, ო, ძალიან დიდი ხანია მინდოდა მეკითხა, რო... როგორ იყოდე რიკშა, საიდან იყოდე, სად გქონდა ფული?

— მე თანდათან ვაგროვებდი ფულს, ჩუნ. მე არავისთვის არ მითქვამს, რომ ვაგროვებდი ფულს.

— ლი, მე ოთხი მანეთი დამიკარგა, ლი.

— ჩუნ!? ამ ამოძახილში იმდენი კითხვა, იმდენი გაოცება, იმდენი ტკივილი გამოიხატებოდა, რომ ორივე ბავში აკანკალდა.

—ნუთუ, ჩუნ, შენ გგონია, რომ ის ფული მე წავიღე, ნუთუ ჩუნ, შენ გგონია, რომ რიკშა მე... მე... ჩუნ, ახლავე სთქვი, ახლავე, აქ .. სთქვი.. სთქვი.

ორივე მიაჩერდნენ ერთმანეთს, ორივეს ცრემლები ადგებოდა და ციმბა ოფლმა დაასხა.

— ჩუნ, მითხარი ახლავე... ახლავე, გესმის?... ფიცავ ყველაფერს... შენი იყოს რიკშა, მაგრამ მე... ჩუნ!!..

ჩუნმა მაგრად ჩასჭიდა ლის ხელი მხრებში.

— ლი, მე ახლა ვიცი, ლი, რომ შენ არაფერ შუაში ხარ... მაპატიე, ლი...

ორი ბავში ჩაეკრა ერთმანეთს და ატირდნენ, ატირდენ სიხარულისგან, სიხარულისგან იმიტომ, რომ ლიმ იპოვა თავისი მეგობარი და ჩუნ დარწმუნდა ლის პატიოსნებაში.

— ჩუნ, ჩვენი ცხოვრება ძალიან მწარეა. ჩვენ დაჩაგრულები, ღარიბები და უბედურები ვართ, მაგრამ ჩვენ ხომ ძლიერები ვიქნებით, თუ შეეერთდით, ჩუნ? რუსეთში ახლა ასეა და ჩქარა, ძალიან ჩქარა აქ იქნება იგივე, რაც რუსეთში, აღტაცებით წარმოსთქვა უცებ მან.

ჩუნს ეს ელვის მსგავსი აზრი გადაედო,მიხვდა და ლი-ლუსავით აღტაცებაში მოვიდა.

ორი ბავში აღზნებული თვალებით, იმედით ელოდა მომავალს.

დიომიდე ანთაძე.

ჩემი ჩონგური.

უჩონგუროდ მე ვერ გავძლებ,
მას შევხარი, შევტრფიალებ;
ხშირად ვიღებ, სიმებს ვაწყობ,
თითებს გაკრავ, ვაწკრიალებ.
ზედ დავმღერი ახალ ჰიმნებს,
ახალ ქვეყნის შესამკობად:
ყველას ვიწვევ ბრძოლისათვის,
ძველი ქვეყნის დასამხობად.
მძულს, ვინც გვერდი აუარა
განახლებულ ქვეყნის სუნთქვას,
პირში წყალი ჩაიგუბა,
ლექსი ვეღარ გამოუთქვამს.
მძულს ისინიც, ვინც კვლავ მღერის
მხოლოდ ისევ ძველ ჰანგებზე;
მისი ლექსი ვერ განახლდა,
დაყიალობს იმავ მოებზე.

ზოგმა ჩანგი მოიმარჯვა,
ვითომ ახალს უკრავს, მღერის;
მაგრამ მაშერალთ ვერაფერი
გაუგიათ იმათ ენის.

მძულს ყველანი, ვინც ჩემსაკით
არ მიუდგა მაშერალთ ბრძოლას,
და აღგზნებით არ უმღერის
იმათ მუშურ გულის ორთოლას!

მე კი ვმღერი ახალ ჰიმნებს
ახალ ქვეყნის შესამკობად,
ყველას ვიწვევ ბრძოლისათვის,
ძველი ქვეყნის დასამხობად.

დ. ელიოზიშვილი.

მზის ძღვენი

(ტროპიკული ქვეყნების "ცხოვრებიდან).

ჩვენ დედამიწის ზომიერ სარტყელში ვცხოვრობთ, სადაც მცენარეთა სამყარო მეტად ნაირ-ნაირი არის, სადაც ბუნება საკმაოდ ლარიბია და ადამიანი ბევრ შრომას ხარჯავს მისთვის სასარგებლო მცენარეთა გასამრავლებლად.

ტროპიკებში კი ნაირ-ნაირი ნაყოფი ადამიანს მოუვლელად მზადდება პირდაპირ ტყეში; საკმაოა ტყეში ფეხი შესდგა, რომ საკვებადაც და სასმელადაც კი ყოველივე საკმაოდ ნახოთ.

(კაკაოს კრეფა)

გავეცნოთ, უფრო ძვირფასი ნაყოფები ტროპიკებისა სად იზრდება და როგორ.

კაკაო ველურად იზრდება ტროპიკულ ტყეებში პატარ-პატარა ხეების და ბუჩქნარის სახით, დაფარულია მთლად ნაყოფით, ცერცვის მსგავს ღერილოებით, რომლებშიაც 25—30 თესლი ძევს.

კაკაოს სამშობლო ცენტრალური ამერიკა, საიდანაც იგი ცხელი სარტყელის ყველა ქვეყნებში გავრცელდა, სადაც ჰაერი, ნოტიოა და უშველებელი ტყეები საკმაო ჩრდილს იძლევა.



კაკაოს ბარკი.

წარსული საუკუნის დასასრულს კაკაო ამერიკიდან აფრიკაში გაიტანეს, სადაც მის სახარებლად იმდენად ხელსაყრელი პირობებში აღმოჩნდა, რომ სულ მოკლე ხანში აფრიკის დაბლობების კაკაოს პლანტაციებმა პირველი ადგილი დაიკავა მთელს ქვეყანაზე.

კაკაოს გასაშენებლად ცოტა ხარჯებია საკმაო. ჩვეულებრივ, მოსძებნიან ხოლმე ტყეებში ისეთს ადგილებს, სადაც კაკაოს ხეები ბლომადაა და გარშემო ტყეს შემოუკაფავენ. თუ ახლად უნდათ გაშენება, კაკაოს ხეებს სხვა მცენარის ჩრდილში დარგავენ და, როცა კაკაო ამნაირად მოიზრდება, ამ მცენარეებს შემოუკაფავენ. ამნაირად დარგული კაკაო უკვე სამი წლისა იძლევა ნაყოფს. როცა კაკაო მოიწევა, დეროებს დაკრეფენ, დასკრიან და შემდეგ მარცვლებს ხელით ამოიღებენ, დასცეხვავენ ლობიოსავით. მარცვლებს გარდა ნაყოფში საჭმელი სირბილეც არის, ნოყიერი და მომფაო. მარცვლებს მზეზე ახმობენ, ან სპეციალურად დამზადებულ საშრობ ფარდულებში; აშრობენ 2—3 დღეს, შემდეგ მიწაში ჩაულაგენ, ისევ ამოიღებენ და გააშრობენ. ამნაირი მოვლით მარცვლებში ფუღილი იწყება, რომელიც სურნელებას სძენს კაკაოს. გამზმარ მარცვლებს დაფქვავენ და უკვე ფხვნილის სახით აგზავნიან დანარჩენ ქვეყნებში.

ყავის სამშობლო აფრიკაა, უმთავრესად—აბისინია. მე-XV საუკუნეში ყავის ხე არაბეთში გიტანეს, ევროპაში კი ყავას, როგორც პროდუქტს, მხოლოდ მე-XVII საუკუნიდან ხმარობენ.

ამჟამად უმეტესი ნაწილი ყავისა სამხრეთ ამერიკიდან გამოაქვსთ.

ყავის ხე დაბალია, ჯუჯა და მგარი, ნაყოფს მე-სამე წელს იძლევა და 12 წელიწადს სძლებს. იგი მთელს წელიწადს ჰყვავის და ნაყოფს მუდმივ იძლევა, მაგრამ მისი მოკრეფის მთავარი დრო შემოდგომა და გაზაფხულია.

თვითეული ხე $2^1/_2$—$12^1/_2$ გირვ. ყავის მარცვლებს იძლევა და ერთს დესეტინა მიწაზე კი 900 ხის დარგვა შეიძლება. დაკრეფილ ნაყოფს წყალში დაასველებენ, რომ მაგარი კანი დალბეს და მოსცილდეს, თვით მარცვლებს კი მიწაზე გაშ-

ლიან გასახმობადყავის თვითეულ ნაყოფში ორი მარცვალია.

ჩაის სამშობლო ცენტრალური აზიაა, უმთავრესად კი ჩინეთი, საიდანაც იგი ყველგან გავრცელდა, — ქვეტროპიკულ და ტროპიკულ ქვეყნებში.

ჩაის უმეტესი ნაწილი ახლა სამხრეთ აზიის, ბრიტანეთის და ჰოლანდიის ახალშენებიდან ვამოდის (ინდოეთი და ცეილონი)

ჩაი — გამხმარი და წვრილად დაჭილ ჩაის ბუჩქის ფოთლებს წარმოადგენს.

რაც უფრო წვრილია და ნორჩია ფოთოლი, მით უფრო უკეთესია ჩაის ხარისხი. დაბალ, იაფ ხარისხის ჩაიში კი ფოთლებს გარდა ყლორტებიც ურევია და ტოტებიც.

ფინიკის კრეფა.

ბუჩქიდან ფოთლებს სჭრიან ადრე გაზაფხულიდან დაწყებული ნაგვიანევ შემომდგომამდეის. ახმობენ, ხარისხებად დაალაგებენ და შემდეგ დაფხვნიან ან დასჭრიან.

ტროპიკებს ამ მთავარი პროდუქტების გარდა ევროპაში შემოაქვს კიდევ **ფინიკის პალმები**, ბანანები, **არეკის პალმა, პურის ხე, ქოქოსის კაკალი.**

ფინიკი ყველგან ცნობილია. უფრო კარგად აფრიკის ჩრდილო ნაწილებში ხეჭრობს და არაბების საუკეთესო საქმელია.

ტოტებგაშლილი პურის ხე ვეება ნაყოფს იძლევა; თვითეული ნაყოფი კაცის თავზე დიდია. ნაყოფს შიგნი ბრტყელი მარცვლებია, რომელსაც ახმობენ და შემდეგ ფქვავენ; ფქვილიდან უმარილო პურებს და ხაიდებს აცხობენ.

არეკის პალმები ძლიერ მაღალი იზრდება, ღერო სწორია და მუხლებიანი—თანასწორ მანძილებზე. მაღლა, კენწეროზე, ფოთლებია გაშლილი გვირგვინივით, რომლებშიაც ბანანარინს ოფლენა კაკლები ბრჭყვიალებენ. ამ პალმის მარცვლები მეოთხეურების გემრიელი საქმელია: მარცვლებს პალმის წვეტიან ფოთოლში ახვევენ და ისე ღეჭავენ.

საჭმელ პროდუქტებს გარდა ტროპიკები ადამიანისთვის სასარგებლო ნივთიერებასაც იძლევა, მაგ., სკიპიდარს და კაუჩუკს.

სკიპიდარს საერთოდ ცაცხვის წვენიდან ხდიან და ტროპიკების ცაცხვები კი საუკეთესო ხარისხის სკიპიდარს იძლევა.

კაუჩუკს—რომელიდანაც რეზინას აკეთებენ, კაუჩუკის ძირითადი წყარო. ... აკეთებენ.

კაუჩუკის ხეები სხვადასხვა ჯიშისაა. უფრო გავრცელებულია **ფიკუსი**, რომელიც, უეჭველია, გინახავთ სადმე კერძო სახლებში. მაგრამ ეს ჩვენი ჯუჯა ფიკუსები რა შედარებაა ტროპიკის ვეება კაუჩუკის გოლიათთან!

კაუჩუკის მთელი ტყეებია გადაჭიმული სამხრეთ ამერიკის და აფრიკის მდინარეთა ნაპირებზე: გაშლილი, ხშირტტებიანი ხეა, რომლის ღეროზე შემარდულია ლიანები და ველური ყურძენი (კრიკინა).

ველური ხისგან კაუჩუკს ასე იღებენ: ჯერ დანიშნავენ ხეებს, მერე ექვე ქოხს ააგებენ და 2—3 თვით დასახლდებიან. დილით ადრე უვლიან ტყეს, დანიშნული „საწველ ხეებს", და თან კალათით მიაქვსთ თიხის ქოთნები, ცოტაოდენი აყალო მიწა და დანა.

თვითეულ ხეს ქერქს გაუჭრიან და ქოთანს მიადებენ, ქოთნის პირებს კი აყალოთი შემოლესავენ, რომ წვენი არ დაიკარგოს; ქერქიდან თეთრი წვენი ჩამოდის ქოთანში. ქოთნებს რომ ავსებენ, ქოხში წაიღებენ და ერთ დიდ ჭურჭელში ჩაასხა-

მენ. როცა წვენს საკმაოდ შეგროვებენ, დაანთებენ ცეცხლს, წვენს დაასხამენ ნიჩაბზე (წვენი არ იღვრება, რადგანაც სქელია) და ცეცხლზე დაიჭერენ იქამდის, ვიდრე წვენი საკმაოდ არ გასქელდება; შემდეგ ზევიდან ახალ წვენს დაასხამენ, რომელიც ყვითლდება და მაგრდება. როცა ფენა ნიჩაბზე საკმაოდ მაღლდება, დანითა აფხეკენ და შეინახავენ. ამ ფენებს შემდეგ კიდევ გაახმობენ მზეზე და უკვე გასაყიდად მზადაა კაუჩუკი.

საცობის ხე—ყველასთვის ცნობილ „ჰრობკებს" ვვაძლევს, ურომლისოდაც ბოთლებში სითხეს ვერ შევინახავდით.

საცობის ხე მაღალია, წვრილფოთლებიანი და ხორკლიანქერქიანი. ამერიკაში და ტუნისში (აფრიკის ჩრდილოეთი) იზრდება. საცობი ქერქის ქვეშა ფენისგან კეთდება; ამისათვის დანით გადაჭრიან ქერქს სიგანეზე და სიგრძეზე, რის შემდეგ ქერქი ადვილად შორდება ღეროს. ამ სამუშაოს ივლისში და აგვისტოში ასრულებენ, უქარო ამინდში, რადგანაც ცხელი ქარი ახიანებს გაშიშვლებულ ღეროს, რომელზედაც შემდეგი ფენა 6 წლის შემდეგ იზრდება ისევ.

ტროპიკულ ქვეყნების უფრო ნაყოფიერი ადგილები ევროპელ და ამერიკელ იმპერიალისტების მიერაა დაკავებული; ამ ადგილების ყველა მათ ზეირად მოსდით შეჯახება.

ამ ომებს გარდა, რომელიც აფიოკებს ქვეყანას, იმპერიალისტები ერთმანეთს მოგების ნიადაგზეც ებრძვიან. გადასახადების, საბაჟო სტეკულაციის და აგრეთვე აშკარა ცარცვა-გლეჯის და მეკომურების მოწამვლის (სპირტით, ოპიუმით და სხვა საწამლავებით) საშუალებით,—ისინი მსოფლიოში უმდიდრეს მიწების მოსახლეობას წმინდად სცარცვავენ და აოატაკებენ.

ამიტომ მეკომურნი ვერ აუმჯობესებენ თავის ტეხნიკას და მოკლებულნი არიან საშუალებას, მიიღონ იმაზე მეტი, რასაც ბუნება გამზადებულს იძლევა. ტეხნიკური გაუმჯობესება კი მსოფლიოს ამ ბეღლის მოსავალს ასჯერ და ათასჯერ ასწევდა.

ტროპიკის დაჩაღრული ხალხები იწყებენ ამის შეგნებას.

ხვადასხვა ფერის მშრომელთა მილიონები იღვიძებენ თავისუფალი ცხოვრებისა და თავის მიწაწყალზე ბატონობის უფლებისათვის საბრძოლველად.

დ. კარბელი.

კაუჩუკის ტყე.

უ დ ა ბ ნ ო ფ ი

(მგზავრის შენიშვნები)

აქლემების გულსაკლავი კვნესა შესწყდა; ისინი უკვე დატვირთეს, მხედრები უნაჯირებს მოასხდენ, ქარავანი გაშწკრივდა, გზის მაჩვენებელი მას წინ გაუძღვა.

ორის ნახევარზე თვალწინ უდაბნო გადაგვეშალა. მზის ჩასვლამდე მის უსიცოცხლო სიღრმეში უკვე საკმაო მანძილი გავიარეთ. მცენარეულობის კვალი სრულიად გაჭრა, მასთან ერთად ცხოველთა სამეფოსიც. ირგვლივ ქვიშიან დაბლობებს, კონუსისებურ კლდეებს და გავარვარებულს ქვიშასღა ვხედავთ.

უდაბნო ადამიანს მეტად ერთფეროვნად ეჩვენება, რადგან აქ ცხოველები და მცენარები არაა, მაგრამ ნამდვილად ის თავისი ლანდშაფტებით მრავალფეროვანია.

ზოგან ვეებერთელა მანძილი მხოლოდ ქვების ზღვას შეიცავს—ამაღლებულ მთებით და ნაპრალებით; ზოგან შავი და ლეგა კლდეები ერთი-მეორეზე აზიდულან, დაბლობიდან მაღლა კონუსებისებრ ამართულან, ზოგან შეჯგუფებულან, ძირები ჯაჭვივით გადაუბამთ; ზოგან სრულიად სწორი ნიადაგი დაფარულია ყვითელი ქვიშით, რომელშიაც მგზავრი კოჭებამდის იფლობა; ზოგან ქარს ეს ქვიშა გროვებად დაუდგამს, ზოგან გაუფანტავს, და ნიადაგი უსწორმასწოროა.

აგერ ყვითელი ქვიშა მთებზე გადაუტარებია და ამ მთის ფერდები ოქროსფრად ბრწყინავენ მზეზე!

ჩამოუთვლელია უდაბნოს სახელოვან მუშაკის—ქარის—ოვაწლი!

მხოლოდ განსაკუთრებულად ჩაღრმავებულ დაბლობებში მოიპოვება წყალი; იქ მდებარეობს ეგრეთწოდებული „ბიარები“, ჭები, რომლებისკენაც ილტვიან ქარავნები. ამ ზოგან ბუნებრივ და ზოგან ხელოვნურ ღრმა ჭებში წყალი კედლებიდან წვეთ-წვეთად ეონავს. ბიარების ნაპირებზე თითოოროლა ფინიკის პალმა და ჯუჯა მიმოზის ბუჩქები მოიპოვება; ხანდახან, თუ ნიადაგი ხელს უწყობს, მიმოზის ბუჩქები ახლომახლო დაბლობში ფეხს მოიდგამს... ამ ნაირ-ნაირ ლანდშაფტებს წლიდან წლამდის უღრუბლო ციდან გავარვარებული მზე დაჰყურებს და საშინელ პპანაქებას იწვევს.

ჩვენ პირველ დღეს ბედმა ადმოსავლეთის ქარი გვარგუნა, წვრილ ქვიშას ხმოლოდ რამოდენიმე ფუტის სიმაღლეზე ატრიალებდა და ჩვენი თანამხლებლებია აზრით საშიში არ იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ დავიქანცეთ.

სისხლისფრად მოდაღადაე მზის სხივები მოწმენდილ ციდან მძლავრად გვაცხუნებენ, შეშფოთებულნი თვალებს ვაცეცებთ და გრილ ჩეროს დავეძებთ, მაგრამ ირგვლივ მხოლოდ გავარვარებული ქვიშაა, რომელიც მწველი მზის სხივების ანარეკლს უკანენ სტყორცნის; არც ნაპრალი ჩანს,

არც რამე სხვა თავშესაფერი, რომ მოიკაცული სხეული წუთით მზისაგან შევასვენოთ.

აქლემების მდევართა სიმღერა შესწყდა, მეტისმეტი პაპანაქებისგან ჰაერი კრთის, ცა ბაცად განაცრისფრდა, ცოტაც კიდევ... და მხნეობას დავკარგავთ.

მაგრამ აი, საღამო ახლოვდება, მზე ბრეყვიალით ეშვება ქვიშის ტბის ტალღებში და საუცხოო სანაბაობას წარმოადგენს. ჩვენც გვავიწყდება დღის გასაპარი და აღტაცებულნი სალამს ვუძღვნით დიად მნათობს, რომლის სხივებიც რამოდენიმე საათის წინ ულმობლად გვწვავდა; გული სიხარულით გვევსება; მდევრები მხიარულად მიერეკებიან აქლემებს, და უდაბნოში კვლავ გაისმის მათი სიმღერა, რომელსაც წინა აქლემის ზარის მელოდიური ჟღარული უერთდება. ქარავანი მხიარულად მიიწევს წინ. ვიჩქარით, დღისით დაკარგული დრო ვინაზღაურთო.

ცის ბნელ თაღზე აქა-იქ წინამორბედი ვარსკვლავები კენტად ენთება და ნამგალა მთვარე გზას აშუქებს. გრილი ღამე მოიცავს უდაბნოს. ყველაფერი დავიწყებულია: ტანჯვა და მწუხარება, შიში და სულით დაცემა. რა საუცხოო ჯილდოა დღის ჭაპანწყვეტის შემდეგ გრილი საღამო!

დაქანცულები ღამის გასათევად შეეჩერდით, რბილ ქვიშაზე ხალჩები გავფინეთ, დასასვენებლად მივწექით.

ღამეა. უდაბნოს სუფთა და გამქვირვალე ჰაერს ვარსკვლავები დაკაშკაშებენ. ბნელი უდაბნო დიად სიჩუმეს მოუცავს; ამ სიჩუმეს მხოლოდ ჩვენი ქარავანის ყრუ ხმაურობა არღვევს. ჩვენი პატარა კოკონი მიწას მხოლოდ რამოდენიმე ნაბიჯზე აშუქებს; მის გარშემო ნუბიელები სხეულდა წვანან; ისინი თავიანთ უბრალო საჭმელს იმზადებენ: ფურრის[1]) მარცვლებს ხარშავენ წყალში. ბანაკის გარშემო ფეხშებორკილი აქლემების ნახევარწრეა; წვანან და იცოხნებიან; ცეცხლის შუქზე ხშირად იხატება მათი ბრწყინვალე თვალები

ვის შეუქლია ამ ღამის გამოუთქმელი სიშვენიერის აღწერა? მისი წარმოდგენაც კი მხოლოდ მას ძალუძს, ვინც ის თვითონ განიცადა! რა ცხოველმყოფელია დღის ჰაპანაქების შემდეგ ღამის სიგრილე! ვარსკვლავებით მოჭედილ ცის წარმტაც სილამაზის სავსებით წარმოდგენა ქალაქის მკაბარებს არ შეუქლია, ჩრდილოეთ ქვეყნების მცწოვრებისათვის კი, რომელსაც მნათობებს მუდამ ჯანღი უფარავს, ეს მშვენიერება ხომ სულ წარმოუდგენელია. აქ ვარსკვლავები მსხვილები და მოელვარენია, მათ მეკერალს ყოველდღიური წვრილმანი საქმენი აავიწყდება; მისი ფიქრი ცისაკენ მიჰქრის, მსოფლიოს დაუსრულებელ სივრცეში! უდაბნო დაუსრულებლობის გამოსახულებაა ისე, როგორც ზღვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიშის ზღვა ისეთივე ცვალებადია, როგორც ოკეანე; აქაც, როგორც იქ, ყველაფერი ქარზეა დამოკიდებული; ქარი ქვიშის ტალღებს ისევე ამობოქრავს, როგორც ზღვისას; განსაკუთრებით საშიშია დასავლეთის და სამხრეთის ქარი. როცა ის ამოვარდება, ქვიშა საშინელ სიმაღლეზე ადის, ცას ეფარება, მას ალისფერ ღრუბელ და გახელილნი დაჰქრის. ამ ქარს არაბებმა სამუმი (ე. ი. საშამლავით მსუნთქავი) დაარქვეს. მეზავრისათვის უდაბნოში მაზე საშიში არაფერია.... მეზავრის თვალწინ ქვიშის უზარმაზარი ბოძები იმართვიან, ისინი ხან ნელა მოძრაობენ და ხან საშინელის სისწრაფით. ადამიანი გარინგუბული დგება, შიშისაგან ვერ იძვრის, ენა ერთმეცა, მაგრამ მოვლენის სიდიადე მაინც აკვირვებს; ბოძების მეგობარ-ოა და სახე კი ყოველ წუთს იცვლება; ისინი წინ ისეთი სისწრაფით მიჰქრიან, რომ ვერცერთი ფეხმარდი ცხენი ვერ გაასწრებს. მზის სხივებით გაბრეყვიალებულ ქვიშის ბოძებს ქარი ნაწილებად ჰკეთს და აერთებს, ზლის და აშენებს; ბოლოს ბოძები მიწაზე ეშვებიან და ქვიშის ბორცვებად იქცევიან. მეზავრს სიკვდილს აღარ უქადიან, მაგრამ აქ სასიხარულო არაფერია, გადარჩენის იმედი ნაადრევია, რადგანაც ეს ჩვეულებრივ მხოლოდ სამუმის დასაწყისია, საშინელება კიდევ წინაა.

სამუმის მოახლოებას უდაბნოს შვილი რამოდენიმე დღით ადრე გრძნობს და წინასწარმეტყველობს. უცხოელიც კი ეჩვევა ამ მოვლენის წინდაწინ გამოცნობას, თუ უდაბნოს მიდამოებში საკმაო ხანი უცხოვრია. ჰაერის ტემპერატურა იცვლება: ის დახუთული და აუტანელია; ჰორიზონტი წითელ ან ტერფიანის ნისლში ეხვევა,—ეს მტვერია, რომელიც ატმოსფერაში ტრიალებს; ჯერ ქარის ჩამიჩუმიც არაა, მაგრამ აქლემები მის მოახლოებას გრძნობენ; მათ მღელვარება და შიში ეტყობათ, თავის წინაგრძნობას სხვადასხვა ნიშნებით აააკარავებენ: შფოთავენ, ჩვეულებრივი წესით ვერარ მადიან, მდევრებს ღარი ემოჩრილებიან, ქუჩდებიან, მოკლე ხანში უფრო იქანცებიან, ვიდრე წინა დღეებში განუწყვეტელი სიარულისაგან. ხანდახან კიდეც ეცემიან და მაშინ მათი წამოყენება ძნელია.

ქარიშხალის წინა ღამეს ჰაერი კიდევ უფრო იხუთება, მეზავრი ოფში იწურება, შეშფოთებულ ქარავანი გზას გაჩერებით განაგრძობს, სანამ შეუძლია, სანამ ცას თუნდ ერთი, გზის მაჩვენებელი

ვარსკვლავი შერჩენია; მაგრამ აი, უკანასკნელი ვარსკვლავიც ჰქრება და დაბლობს ხშირი, შშოალი და შეუფალი ნისლი მოიცავს. მაშინ ქარავნის წინასვლა წყდება.

ღამე გაივლის, აღმოსავლეთით მზე ამოდის, მაგრამ მგზავრისათვის ის ფრინარია ნისლის წყალობით, რომელიც სულ სქელდება. ჰაერის მუქ სიწიოლეს ახლა ნაცრის ფერი დადაჰკრავს. თითქმის ბნელია ასი ფუტის მანძილზე საგნის გარჩევა აღარ შეიძლება, შუადღე კი უნდა იყოს. სამხრეთიდან ან დასავლეთით ჯერ ნელი ქარი ამოვარდება; დროგამოშვებით მისი ცხელი მობერვა ძლიერდება, ბოლოს ქარიშხალის ღრეული მოისმის, მაღლა ჰაერში მტვერი აუწურელი სისწრაფით ტრიალებს; ჰაერს ხშირი ღრუბელი ეფინება.

ქარავანი იძულებულია შესდგეს, რადგანაც არავითარი ღონისძიებით აქლემების ფეხის გადადგმევინება არ ხერხდება. გაისმის ცხოველების ქშინვა. და კრუტუნი; ისინი უკვე მიწაზე წვანან. არაბები ცდილობენ, ტყავის ტომრები, რომლებშიაც

ქარავანი უდაბნოში.

წყლის უკანასკნელი წვეთები დარჩენილა, გაშრობისგან დასაცავად მწოლიარე აქლემების ტანს ამოაფარონ. მგზავრები მოსასხამებში ეხვევიან და საქონლიან ყუთების და ტომრების ეფარებიან.

ქარავანში სიჩუმე მეფობს. გრიგალი მძინვარებს; ჰაერში ლაწალწეი გაისმის: ქარი ყუთებს ამსხვრევს. მტვერი მგზავრებს მოსასამებშიც კი ატანს და საშინლად აწუხებს მათ; ადამიანს თავი უმძიმდება, სუნთქვა უძნელდება, გული უბობოქრობს; ოფლნი იწურება, მაგრამ თხელი ტანისამოსი შშრალია, რადგანაც გახურებული ჰაერი საშინელი სისწრაფით ისრუტავს ყოველგვარ სისველეს; თუ წყლის ტომარა ქარსაგან დაცული არაა, ის ხელად იფუკება, სდგება და წყალს ორთქლებს. ვინ საცოდავი მგზავრის ბრალი, თუ სამუშო გაჯრიელდა! გადარჩენა შეუძლებელია!

უდაბნოს ვერცერთი გასაჭირი ვერ შეედრება განგრძელილ სამუშს; მგზავრი საშინელ ტანჯვას განიცდის: ტუჩები უსკდება, ირეგნიდან სისხლი სდის, მთელი სხეული უსივდება, დამსკდარ კანში წვრილი მტვერი ატანს და ქვილს იწვევს; გამშრალ ენას წყალი სწყურია. წამებულთა ოხვრა და კვნესა ხან გაჩფორებამდე აღწევს, ხან მისწყდება; ზოგი გიჟდება, ზოგი გრძნობას კარგავს. ქარიშხალი გიგვლის, მაგრამ ორი ერთი და ორი მგზავრი რჩება თავის ადგილზე უძრავად: ზოგს დამალვა მოუსწია სიცოცხლე, ზოგს გული გაუსკდა. ზოგი აქლემებიც კი სიკვდილის პირზე არიან და სამგზავროდ აღარ ვარგან.

სიკვდილს გადარჩენილ მგზავრთა მდგომარეობა არაა სახარბიელო. ხშირად ყველა წყლის ტომრები დამშრალია და საბრალოებს წყურვილისგან ნელი სიკვდილი მოელისთ; ყველას საკუთარი გასაჭირი აწუხებს და ავადმყოფებისათვის არავის სცალია. მგზავრობის წესები და კანონები ირღვევა; თუ მგზავრები ყოჩაღად არ დაუხვდენ, აქლემების მდგომარეობა ცდილობენ გადარჩენილ ცხოველებიდან საუკეთესოები იგდოს ხელში და თავს უშველონ; მაშინ დანარჩენები უეჭველად უნდა დაიღუპონ. საუკეთესო შემთხვევაში ყოველი მგზავრი თითო აქლემს ირგებს, და მაშინ შეიძლება ყველამ მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდის. ბარგს იქვე ჭყრიან, მარტო წყლის ტომრების მზიდველ აქლემებს არ აცლიან ტვირთს. თუ რომელიმე აქლემი ჩამორჩა, ვეღარ იარა ან ნოკვდა, მისი მზიდველიც საშუალოდ აქვე დარჩება. მართალია, ქვეითად სიარულს სცდის, მაგრამ ცხელი ქვიშა ფეხებს სწვავს და უიარაღებს; მისი ბედი გადაწყვეტილია: წყურვილისაგან სიკვდილი მოელის.

სიკვდილის წინ მას თვალწინ ეკრეთწოდებული „ეშმაკის ზღვა“ ეშლება. ის წარმტაცა სურათებს ხედავს: ამწვანებულ წყაროებით გახალისებულ სოფლებს, ჰალების ტყეებით ვარსშემორტყმულ ტბებს, მდინარეებში მცურავ ფერადფრთშებიან გემებს; მას წყალი თანსანარად ელანდება, მომაკვდავის განაწამებს სულს ოცნება ძვირფას ინრდლებით ატკბობს, მას ყოველივე ეს ეხატება, რაც გულით სწადია!

მისი სხეული იქვე რჩება და მუმიასავით შრება. გაივლის ახალი ქარავანი, გაშავებულ ცხედარს ქვიშაში ჩაფლავს, მაგრამ ქარი მას ისევ მალე გახსნის. უდაბნოში აქლემების და ადამიანების „ქვეშის მუშები“ ხშირად ხვდება მგზავრს. მათ დანახვაზე არაბი ლოცვას წაიბუტბუტებს ხოლმე: ესაა მიცვალებულის წესის აგება უდაბნოში.

ა. ბ.

გლეხის იმედი

შემოდგომაზე გავქმენ
ორი დღის ხნული ხელადა,
მოვფარცხე, ვთესე ხორბალი,
მბზინავი ოქროს ფერადა.

ჯეჯილმა თავი ამოჭყო,
იწყო ბიბინი მწვანეთა;
ეფიქრობდი, ყველას გავწვდები
როგორც შინ, ისე გარეთა.

თავს ვეფერებოდი, შევტრფოდი,
როგორც საკუთარ შვილსაო;
ბუნებას ვევედრებოდი:
ნუ შემყრი გასაჭირსაო.

ააცილეე ქირნახულს
სეტყვის ბოროტი ძალაო,
კალიის შავი ლრუბელი
და გრძელი გვალვის ხანაო.

—

მზემ დააცხუნა... გადება
ერთი დღე მეორესაო,
ვერ ხედვენ ჩემი თვალები
ვერც ერთ წვიმიან დღესაო.

ჩაყვითლდა ჩემი ჯეჯილი,
მწარედ ჩაქინდრა თავიო;
ვატყობ, მიქრება იმედი, —
დღე დამიდგება ავიო.

რა ვუყო, ვის კარს მივადგე,
ვინ მომანიქებს შვებასა?..
აბა რომელი იკისრებს
ჩემი ცოლ-შვილის კვებასა?

—

მაგრამ... ვენაცვლე იმ ხანას,
რომელიც მეფობს დღესაო;
და იმათ, ვინც ამ ხანისთვის
თავის ლეკური ლესაო.

გლეხ-მუშის ხელისუფლებას
ჩვენზე უპირავს თვალიო;
თუ გაგვიჭირდა, გვიშველის,
არ ემართება ვალიო.

გამხნევდი, გულო, ნუ სწუხარ,-
ეპოვეთ წყლულების მალამო!.
მაშ, გაგიმარჯოს კომუნის
წითელო დროშა-ალამო!..

დ. ელიოზიშვილი.

შემოდგომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ ჰქრის ქარი,
წვეთები წვიმის
ეცემა,
თითქოს ცრემლს ღვრიდეს ზეცა:
ხელის გულიანით
ფოთლები ცვივა,
თითქოს მისდევდეს
გაფრენილ მერცხალს.
აცივდა გარეთ,
სისინებს ქარი,
თითქოს იქნევდენ
შოლტივით ზეცას...
და ფრინველები
შორს იჩქარიან,
რომ თბილ მხარეთა
დღეებს დაეცენ,
სადაც ღრუბელი
ძლივს მიეთრევა,
სადაც ქარბუქი
მიდამოს იკლებს...
ნაკადულები
ქარვის თმებივით
გადმოჭკიდიათ
ფრიალო კლდეებს,
და მონადირე
მუხის ფოტოლდან,
მისდევს ჯიხვების
ნახტომთ-ბილიკებს...
შორს სადღაც მეზმა
გადაიმტვრია,
თითქოს მუხლები
კენჭივით მკვრივი.
ვით სტრიქონები
ძველის-ძველ წიგნთა,
ყვითლდება ისე
ხეები ყველგან..
და ცრემლებივით
ჩვილი და წმიდა
წვიმის წვეთები
შხეფუნობს ველად.

კ. ლორთქიფანიძე.

ფრინველების მოგზაურობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერების განვითარება ტეხნიკის განვითარებასაც იწვევს და აგრეთვე ადამიანის ახალ-ახალ გამარჯვებებს ბუნებაზე.

ტეხნიკა თავის მხრივ მთელ რიგს საშუალებებს აძლევს მეცნიერებას ნაირ-ნაირ გამოკვლევებისათვის.

ერთ ასეთს ურთიერთ დახმარების მაგალითს ფრინველთა მოგზაურობის საკითხი იძლევა. ავიაციის განვითარებისა და ახალ ახალ ტეხნიკურ საშუალებათა მეოხებით, განსაკუთრებით ფრინველების რგოლებით დანიშნული, ბევრი ახალი აღმოჩენა გამოქვეყნდა ფრინველთა მოგზაურობიდან, რომელიც აქამდის მეტად უცნაურ მოვლენად ითვლებოდა ცოცხალ ბუნებაში. თუმც უნდა ითქვას, რომ მეცნიერება ჯერ კიდეც შორსაა ამ მოვლენის მრავალი საკითხის გადაჭრისაგან.


ბაკინი
ბ ა ბ ი ლ ო ნ ი
ბ ა ბ ი ლ ო ნ ი
ბ ა ბ ი ლ ო ნ

ლები, თვითეული რგოლი დანომრა და ზედ სადგურის მისამართიც დაწერა, თუ საიდან გაუშვეს ფრინველი.

რგოლების ნომრები შესაფერ წიგნებში ჩასწერა დროის, ფრინველის სახელწოდების და ადგილის აღნიშნით.

პირველ წელსვე მეტად კარგი შედეგები გამოიღო ამნაირმა ცდებმა.

ამნაირად, რგოლებშებმული ფრინველების საშუალებით, ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ყანჩა პოლონეთიდან ცენტრალურ აფრიკაში მიფრინავს, იავაში; კენიგსბერგიდან პალესტინაში და მათი გზა დაწვრილებითაა გამოკვლეული.

გამოკვლეულია აგრეთვე გზები წეროსი, შოშიასი და სხვ.

რგოლების საშუალებით მეცნიერები ფიქრობენ მთელ რიგ კითხვების გადაჭრას, მაგ.: ფრინველების წლოვანებას, ბუდობის დროს, სიცოცხლის ხანგრძლივობას და სხვ.

რგოლს არავითარი ზიანი არ მოაქვს ფრინველისთვის; როცა კი რგოლშებმულ ფრინველს იჭერდენ, ფეხები სავსებით სალი ჰქონდა, მხოლოდ რგოლი გაცვეთილიყო ცოტათი".

ეს სტრიქონები ანგლოლეგმა ამ 9 წლის წინ დაწერა და მას შემდეგ კიდევ ბევრი რამ ახალი აღმოჩენილი და გამოკვლეული.

მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი ბალდვინი რგოლების შებმით დარწმუნდა, რომ ერთიდაიგივე ფრინველი წლიდან წლამდის მის ბაღის ჩრდილო ნაწილში მიდიოდა და, მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს, რომ ფრინველები სასტიკად იცავენ ერთხელ მიღებულ წესს როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის ბუდობაში.

იმავე მეცნიერმა, იმავე საშუალებით, ცხადჰყო, რომ ერთსადაიმავე სახის ფრინველებში მამალი თვითეულ ბუდობის წინ ახალს დედალს უამბანაგდება, ზოგი კი მუდმივადაა შეუღლებული თავის მეგობართან.

1922 წელში გერმანელმა მეცნიერმა ფ. ლიუკანუსმა გამოაქვეყნა შრომა, რომელშიაც უკანასკნელ წლების მრავალი დაკვირვებაა შეგროვილი,—რგოლების და ავიაციის საშუალებით მიღებული, რითაც წინა წლების ზოგიერთი სადაო საკითხები სწორდება და იჭკვება.

ასე, მაგალითად, ამ შრომის უკანასკნელ თავში ფ. ლიუკანუსი ამტკიცებს, რომ ფრინველთა მოგზაურობა არავითარ შემთხვევაში დარზე არაა პირდაპირ დამოკიდებული, როგორც ეს წინად ეგონათ.

მხოლოდ ბუნების ზოგიერთი არამუდმივი მოვლენა, როგორიცაა, მაგალითად, სქელი ბუერესი, ძლიერი ქარიშხალი,—მოგზაურობის აჩერებს, ან ზოგჯერ ფრინველებს უკანვე აბრუნებს.

ახლა უკვე საკმაოდაა გამორკვეული ზოგიერთ ადგილებში ფრინველთა გადაფრენის გზები. შემოდგომის მოგზაურობის დროს ეს გზები, სიგანით, რამოდენიმე ასეული კილომეტრს აღწევს და უმეტეს შემთხვევაში ჩრდილო - აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართება.



ამ მიმართულებას ფრინველებს ვერც ჰაერის ტემპერატურა შეაცვლევინებს და ვერც ქარი, რა მხრიდანაც გინდა ჰქროდეს იგი ფრინველების საჰაერო მოგზაურობის დროს.

ამგვარად, დიდის ხნის კამათში, ქარის მიმართულებით მიფრინავენ ფრინველები თუ ქარის წინააღმდეგ, მეცნიერების ერთი მხარეც მართალია და მეორეც, სიმართლე კი ამ მოსაზრებათა შუაა.

როცა უკანასკნელი წლებში აეროპლანებიდან და საჰაერო ბირთვიდან დაკვირვებანი მოახდინეს, თუ რა სიმაღლეზე მიფრინავენ ფრინველები თავის მოგზაურობის დროს,—ბევრი რამ ზღაპრული აღმოჩნდა.

ლიუკანუსი ამტკიცებს, რომ მოგზაურობის დროს ფრინველები 100 მეტრს ზევით არ ადიან და ზოგიერთს შემთხვევაში არა უმეოესს 1000 მეტრისა.

უდიდეს სიმაღლეთ კი, სადამდისაც ფრინველები ადიან, ლიუკანუსი 2500 მეტრს სთვლის (დაახლოებით $2^1/_2$ ვერსი).

წინანდელს შეხედულებას, თითქოს ფრინველები 3, ან 6 კილომეტრზე ადიოდენ ზევით, ლიუკანუსი უარყოფს, ვინაიდან სახოგადოდ ფრინველები ატმოსფერის წნევის (დაწოლის) შემცირებას ვერ იტანენ (ჩვენ ვიცით, რომ ჰაერი ქვეყიდან ზევით თხელდება, ამიტომ მისი წნევაც მცირდება).

ამ მოსაზრებას ჰაერში მფრინავენიც ამტკიცებენ, რომელთაც 2,200 მეტრის ზევით ფრინველი არ შეხვედრიათ.

წინანდელი შეხედულება ფრენის სიჩქარეზედ ძლიერ გადაჭარბებული აღმოჩნდა. უსწრაფეს ფრინველის ფრენის მაქსიმალური სიჩქარე წუთში დაახლოებით 25 მეტრს უტრის, ანუ 90 კილომეტრს საათში.

ამნაირად, უმეტესი ნაწილი ფრინველებისა გადაფრენა-მოგზაურობის დროს საშუალოდ 400 კილომეტრს გადის დღეში, უსწრაფესი კი—500 კილომეტრამდის!

ასეთია მეცნიერების მიღწეული დღეევანდლამდის. უეჭველია, ტეხნიკის განვითარების გამო, ახლო მომავალში გვეძლება ისეთი საფრენი მანქანები, რომლის საშუალებით შესაძლებელი შეიქნება, მათი ყოფა-ცხოვრების ახალი საიდუმლოებანი გამომეძიებენდეს.

დავ. კარბელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშთა კომუნისტური მოძრაობა

ბავშთა კომუნისტურმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბავშთა კომ-მოძრაობა განუყრელი ნაწილია მუშათა კლასის საერთო რევოლუციონური მოძრაობისა.

ბავშთა კომ-მოძრაობა არსებითად ჩამოყალიბდა მე-20-ე საუკუნეში, მუშათა კლასის გამწვავებული რევოლუციონური ბრძოლის ეპოქაში. მაგრამ ამით ის არ უნდა ითქვას, რომ თითქოს ბავშთა მოძრაობის დასაწყისიც მე-20-ე საუკუნეს ეკუთნოდეს: მისი ჩანასახი თვით პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის დასაწყისიდან მომდინარეობს.

პროლეტარიატის ბავშვებსაც ღრმად სწვდებოდა მთი მამების ტკივილები.

პროლეტარების ბავშები თვით განიცდიდენ უშუალოდ თავიდანვე დაჩაგრულ ხალხთა ყოფა-ცხოვრების სიმძიმეს. მუშათა კლასის დიდმა მასწავლებლებმა, კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა,—პირველად მოგვაცეს დახასიათება მე-19-ე საუკუნის პროლეტარულ ბავშთა ცხოვრების, მთი აუტანელი მდგომარეობის.

თუ შეადარებთ, შეიძლება ითქვას, რომ ბავშები მოზრდილ მუშებთან შედარებით უფრო საშინელ მდგომარეობაში იყვნენ, მთელი ნორჩი თაობა მუშების შვილებისა ფიზიკურად გადაგვარების გზას დადგა. ეს წარმოებაში: ქარხანაში, ფაბრიკაში და სხვ.

სკოლებში მუშათა ბავშვების გონებაში ბურჟუაზიული მასწავლებლები ანვითარებდენ ღვთაებრივ ნებისყოფას და მორჩილებას მდიდართა კლასისადმი.

აქედან ცხადია, რომ პროლეტარულ ბავშთა მოძრაობას თავიდანვე უნდა ჰქონოდა რევოლუციონური ხასიათი და შინაარსი, რომ ბავშთა მოძრაობა და მისი ზრდა სრულიად დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მუშათა კლასის მოძრაობის ზრდასა და განვითარებაზე.

კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს საფეხურზე ბავშთა კომუნისტური მოძრაობა გამოვიდა საზოგადოებრივ ცხოვრების სარბიელზე, როგორც ცალკე სახის მატარებელი.

ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირებმა თითქმის ყველა სახელმწიფოებში მიაპყრეს თავიანთი ყურადღება მთელი ნორჩი თაობისათვის ცალკე ორგანიზაციების შექმნის და მათზე ხელმძღვანელობის აუცილებლობას.

პირველ რიგში ბავშთა კომმოძრაობა, პიონერთა ჯგუფები—ყალიბდება გერმანიაში, შეიცარიაში, ინგლისში და სხვ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, კომუნისტურ პარტიასთან ერთად ღრმად ჩასწვდა პროლეტარულ ბავშთა გულის სილრმეს; შეიმცნო რევოლუციონური მოთხოვნილებანი და შეუფარდა ბავშთა მოძრაობა მუშათა კლასის რევოლუციონურ მოძრაობის გეზს.

დღეს, როდესაც კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის იზრდება წინააღმდეგობა, უფრო მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, პიონერთა ორგანიზაციებმა ახალგაზრდათა კავშირებთან ერთად დაიჭირეს ერთი მთავარი ადგილი მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში. პიონერები, პატარა მებრძოლები, რევოლუციონერები—ეხმარებიან თავიანთ მამებს, დედებს, ძმებს და დებს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა რესპუბლიკებში ბავშთა კომუნისტური მოძრაობა დაიწყო მხოლოდ სამი-ოთხი წლის წინად. მუშათა კლასის თავისუფალ კვეყანაში პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის მიზნები და შინაარსი დიდად განსხვავდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არსებულ ბავშთა კომჯგუფებისაგან. ჩვენი პიონერები გახდენ ერთ-უმთავრეს ფაქტორად სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში, ბავშთა კომმოძრაობის განვითარება და ზრდა ჩვენში მიმდინარეობს თვით მუშათა კლასის ფართე საზოგადოებრივ სოციალისტურ აღმშენებლობასთან ერთად.

დღეს უკვე ბავშთა კომჯგუფები საბჭოთა რესპუბლიკებში თანდათან იზრდება და ვითარდება, იზრდება მისი რიცხვი და თანდათან ითრევს თავის ორგანიზაციაში მთელ ბავშთა მასას. რიცხობრივ ზრდასთან ერთად ღრმავდება ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციების შინაგანი მუშაობა; პიონერები ეხმარებიან მუშათა კლასს ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნაში, პიონერებში ვითარდება აქტივობა, რომლის

ს.ს.რ. კ-ში არის 26.000 რაზმი, რომლებშიც სულ 30 სხვადასხვა ეროვნების 1.500.000 პიონერია. **საზღვარგარეთ** კი არის: **გერმანიაში** — 250 ბავშვთა ჯგუფი, —12000 წევრი; **ინგლისში** — 35 ჯგუფი, 2500 წევრით; **საფრანგეთში** — 100 ჯგუფი, 3000 წევრით; **შვეიცარიაში** — 10 ჯგუფი, 800 წევრით; **ბალკანეთში** — 50 ჯგუფი, 3000 წევრით; **ნორვეგიაში** — 50 ჯგუფი, 5000 წევრით; **ჰოლანდიაში** — 8 ჯგუფი, 400 წევრით; **ჩეხო-სლოვაკიაში** — 8 ჯგუფი, 300 წევრით; **ესტონეთში** — 4 ჯგუფი, 300 წევრით; **ფინლიანდიაში** — 90 ჯგუფი, 9000 წევრით; **ამერიკაში** — 50 ჯგუფი, 4000 წევრით; **ავსტრიაში** შეკავშირებული არის 300 ბავშვი; **დანიაში** — 750. იტალიაში ბავშვთა ჯგუფები ფაშისტებმა გაანადგურეს და მათი მოძრაობა ჩაქრეს.

შინაარსი და მიმართულება ლენინიზმის მტკიცე საფუძველზეა დამყარებული.

30 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე საქართველოს ბავშთა კომუნისტური ორგანიზაცია უნდა დაირაზმოს ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ. ამ კვირის განმავლობაში თვითეული ბავშს უნდა ვგრძნობინოთო, რომ ის მარტო არ არის ბრძოლაში, რომ მას გვეყოლნენ უდგის დასავლეთის პროლეტარული ბავშთა. საქართველოს მუშების და გლეხების შვილებმა უნდა შეიგნონ თავისი მოვალეობა—მათი ძმების და მეგობრების, დასავლეთის და მეზობელ რესპუბლიკების პიონერების წინაშე.

წელს მეხუთეჯერ ტარდება ეს კვირა.

რა უნდა გაკეთონ ამ კვირეულში საბჭოთა ქვეყნების და საზღვარგარეულმა ძმებმა—პიონერებმა?

საზღვარგარეული ნორჩი პიონერები მოაწყობენ ყველა სკოლებში პიონერულ უჯრედებს, რომ უკეთ აწარმოონ მუშაობა სკოლის ხასებში და კიდევ უფრო მაგრად და ფართოდ დაიმორჩილონ მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა.

საერთაშორისო ბავშთა კვირეულის დროს საზღვარგარეული ბავშთა კომუჯრედები განსაკუთრებულ მოთხოვნებს წარადგენენ მუშთა ბავშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. უფრო მედგრად აამაღლებენ ხმას მის უწყალო ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ამ კვირეულში ჩვენმა ძმებმა დასავლეთსა და აღმოსავლეთში კიდევ უფრო მეტად უნდა განამტკიცონ კავშირი ს.ს.რ.კ-ის ნორჩ პიონერებთან, რომ მათგან დახმარება მიიღონ ბრძოლის დროს.

ამასთანავე ერთად ყველა ბავშთა კომჯგუფები, ყველა შეგნებულ მუშებთან ერთად, ხმამაღლა განაცხადენენ, რომ ისინიც:

— ომის წინააღმდეგი არიან,

— ეხმარებიან მთელი ქვეყნის მშრომელთა გაერთიანებას საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ცდილობენ ს.ს.რ. კ.-თან კავშირის განმტკიცებას.

ჩვენში კი, საბჭოთა კავშირში, ბავშთა კვირეული სულ სხვა ლოზუნგებით და მიზნებით იქნება ჩატარებული.

პირველი ჩვენი ლოზუნგია: **პიონერთა და ბავშთა ჯანსაღობა.** ბრძოლისა და აღმშენებლობისათვის საჭიროა ჯანსაღი და ლონიერი შემცველელნი. პიონერები და ყველა ბავშები ჯანსაღი უნდა იყვნენ, ჩვენმა პიონერებმა უნდა გაიუმჯობესონ მუშაობის პირობები, უნდა გაიუმჯობესონ საცხოვრებელი ბინები; უნდა დიდი ყურადღება მიაქციონ კვებას, ისარგებლონ ჰაერით, მზით, წყლით; უნდა სწორედ იქნეს განაწილებული მუშაობა კოლექტივში, სკოლაში, წრეებში; უნდა მოისპოს დაბრკოლებანი, რომელნიც ტუტად ბრძოლებიდან პიონერთა და დანარჩენ ბავშთა ჯანსაღობაზე; ყველა ზომები უნდა იქნას მიღებული სანიტარულ და ჰიგიენურ მოთხოვნათა შესათვისებლად და სხვ.

მეორე ლოზუნგია: **სწავლისა და ცოდნისაკენ. „უცოდნელად არ არის კომუნიზმი"—სტალინისა.** პიონერები და ყველა ბავშები უნდა სწავლობდენ, იძენდენ ცოდნას და გამოცდილებას მომავალი ბრძოლისა და მუშაობისათვის.

პიონერები მიაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას, ახალი სასკოლო წლის განმავლობაში, სწავლის საქმის მოწესრიგებას და გაუჯობესებას, აქტიურად შეუდგებიან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

პიონერები ყოველ ზ-მას იხმარენ, რომ ბავშები ქუჩას ჩამოშორონო, ამისთვის მოაწყობენ სამავშო სასარგებლო გასართობებს: სამავშო თეატრებს, კინო-წარმოდგენებს, სამავშო მოედნებს [და სხვა, მოაწყობენ აგრეთვე სამავშო წიგნსაცავებს და ჩატარებენ სამავშო ლიტერატურის გავრცელების კვირეულს (ტურნალები, წიგნაკები და სხვ.)

მესამე ლოზუნგია: **სოფელთან კავშირის განმტკიცება.** ქალაქის პიონერები კომკავშირთან და პარტიასთან ერთად განავითარებენ და განამტკიცებენ კავშირს, დაეხმარებიან გლეხის ბავშებს და პიონერებს. პიონერული ქალაქი დაეხმარება პიონერულ სოფელს: სოფლის ნორჩ პიონერთა კოლექტივებს, უშვილიან გლეხთა შეუკავშირებელი ბავშების ნორჩ პიონერთა რიგებში ჩათრევას, დაეხმარებიან სოფლის სკოლას.

მეოთხე ლოზუნგია: **მტკიცე შეკავშირება დასავლეთის და აღმოსავლეთის პიონერებთან.** ს.ს.რ.კ ის პიონერებს უნდა ახსოვდეთ ყველა ქვეყნების ძმები, უნდა შეუკავშირდენ, უნდა დაეხმარონ მათ, ეს მიღწეული იქნება სხვა ქვეყნების ბავშთა კომჯგუფებთან მიწერ-მოწერით, მისალმებათა გზავნით, დასახმარებლად შემოწირულების შეკრებით და სხვ.

მეხუთე ლოზუნგია: **პიონერობა მასაში,** საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ბავშვი—ნორჩ-პიონერ-ლენინელთა რიგებში.

ნორჩო პიონერო-ლენინელებო! ბავშთა კვირეული გავალებთ მუშთა კლასის, მსოფლიო პროლეტარული ბავშების ერთგულებას, **იყავით მზად ამ საქმისათვის!**

შ. შე—ლი.

ტუბერკულოზის მაღარიების ნორჩ პიონერთა კოლექტივი ამხ. კ. დიბენკოტის სახელობის. № 1. რიბიუროს შემ. დაკვნილია.

მაღაროეგის კოლექტივი

ნორჩ პიონერთა მოძრაობა მსოფლიო მოვლენად გადაქცეულ ტიბუდას რიგოზეც. პირველ ხანებში ხელმძღვანელების უუფლობა და მტერიალური უსახსრობა აფერხებდა საქმეს, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა.

თანდათანობით დრმაედება მუშურ-გლეხურ ფენებში ლენინელებისადმი თანაგრძნობა და სიყვარული. პირველ ხანებში ჩვენს რიგოში მხოლოდ 60 პიონერი იყო, დღეს კი უკვე 400 პიონერი და 6 კოლექტივია.

ერთ-ერთ ძრიელ კოლექტივად წარმოადგენს ამხ. კ. დიბენკოტის სახელობის კოლექტივი № 1. ეს კოლექტივი 1925 წ. ოქტომბერში დაარსდა. პირველ ხანებში ხელმძღვანელის უუფლობისა და მტერიალური უსახსრობის გამო ის უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა; დღეს ამ კოლექტივში 80 პიონერი არიცხება, მეცადინეობა სწარმოეგს სასტემატურად კვირაში ერთხელ. შეკრებილი აქვსთ პიონერთა ფორმები, ბარაბანი, სალარი, აქვთ ამხ. კ. დიბენკოტის სახელობის, კედელი, გამოწერილი აქვთ „ნორჩი პიონერი“, აქვთ საკუთარი კედ. გაზ. „შრომის შვილები“, კოლ-დრაშ, ბროფ-კავშ. ცენტგამგეობისაგან მიღებული რიგოსის დროშა და სხვ.

პიონერები დიდის ხალისით ეკიდებიან კოლ. მეცადინეობას, ბევრადაულად სდგამენ უფასო წარმოდგენებს, სადაც ესწრებიან მათი მშობლები—აღგილობრივი მუშები.

კოლექტივში დიდის ზეიმით ჩატარა ბავშთა კვირეული.

საერთოდ, კოლექტივი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს და, იმედია, საგანით გამარდების მსზე დამყარებულ იმედებს.

ეფრემიძე.

ჩვენი მეგობრები და მტრები მსოფლიოში

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ძალა-უფლება მუშების და გლეხების ხელშია, — მშრომელთა შვილები თავისუფლად ცხოვრობენ და სწავლობენ.

თავის არსებობის 3 წლის განმავლობაში პიონერ - ლენინელების ორგანიზაცია ერთი რაზმიდან, რომელშიაც 52 კაცი იყო, მილიონ-ნახევარ წითელყელსახვეიან არმიად იქცა.

ახლა პიონერს ყველგან შეხვდებით: ყინულოვან და წყნარი ოკეანეების ნაპირებზე, ციმბირის ულრან ტაიგაში, ყირგიზეთის ველებზე და კავკასიის ცივ მთებშიც.

ინგლისის პიონერები ინგლისის კომუნისტურ პარტიის ყრილობაზე.

მოდით, ახლო გავინჯოთ სხვადასხვა ქვეყნების ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ცხოვრება და მუშაობა.

ჩინეთი.

ბავშვთა შრომა, უმთავრესად, მანუფაქტურის და ამრეშუმის წარმოებაშია გამოყენებული. ჩანს პროვინციის ყველა ფაბრიკებში მუშათა თითქმის ნახევარს ბავშვები შედგენენ.

ზოგიერთ მუშა-ჭალს ძუძუმწოვარა ბავშვები მოჰყავთ ფაბრიკებში, სადაც ისინი მთელ დღეს იატაკზე მტვერში და ნაგავში ჰყრიან, როცა ბავშვი ცოტა წამოიზრდება, იმწამს მუშაობას აჩვევენ, ამრეშუშის პარკს ხარისხის მიხედვით ალაგებინებენ.

ბავშვები იქ დღეში 12-დან 16 საათამდის მუშაობენ და ამაში 10—30 კაპეიკს იღებენ.

ისინი დღისითაც მუშაობენ და ღამითაც, საკვირაო დასვენება არა აქვთ; მხოლოდ ორ თვეში ერთი დღე ეძლევათ დასასვენებლად და იმის საფასს ჯილდოდან უკლებენ.

უფრო აუტანელი და საშინელია ჩვენი ჩინელი ამხანაგების მდგომარეობა წუმწუმის ფაბრიკებში, სადაც დღეში 15 საათს მუშაობენ. მაგენებელი ნივთიერებანი— გოგირდი და გვარჯილა — თვალებში უცვივათ და მათ თვალები უზიანდებათ.

ქ. შანხაის საქსოვ ფაბრიკებში შეგირდების სახით 15.000 ბავშვი მუშაობს, დღიურად 18 საათს, ღილის 5 საათიდან სალამოს 11 საათამდის და ამ სამუშაოში მხოლოდ უხეირო საკვებს იღებენ.

ათეული წლები გრძელდება ჩინეთში მხეცური ექსპლოატაცია ბავშვთა შრომისა. უცხოელი და ჩინელი ბურჟუაზია ასეულათასეულ ბავშვთა სიცოცხლის მოსპობით ავსებს თავის ბანკებს ოქროთი.

ვინ მიეშველება და ვინ გაუწევს დახმარებას ჩვენს შორეულ ჩინელ ძმებს?

რასაკვირველია, არავინ, გარდა ჩინელ კომპარტიისა და კომკავშირისა. მხოლოდ თვით ბავშვები უშველიან თავის თავს. და ისინიც უკვე იწყებენ ბრძოლას. ქ. შანხაიში, თამბაქოს ფაბრიკებში, 300 ვაჟმა და ქალმა მოახდინა გაფიცვა. ისინი ითხოვდენ ცეკა-ტყეპის მოსპობას, სამუშაო დღის შემცირებას, ხელფასის გადიდებას. ასეთივე გაფიცვები მოახდინეს სხვა ქალაქებშიც.

პატარა ქ. ხამენეში ბავშვებმა მოაწყეს „პატარა მუშების კავშირი". ისინი ყოველგვარ საშუალებით ცდილობენ თავის მოკმედების განვითარებას, რომელიც მმართველია კაპიტალისტ-ექსპლოატატორებისაგან ბავშვთა დაცვისკენ. გომინდანის პარტიასთან (პარტია, ამისწინად გარდაცვლილ სუნ-იატსენის მიერ დაარსებული, რომელიც უცხოელ კაპიტალისტებისაგან ჩინეთის განსათავისუფლებლად იბრძვის) არსებობს ბავშვთა სახლები და სკოლები.

მხოლოდ ამ ახლო ხანში შეუდგა ჩინეთის კომკავშირი ბავშვთა კომუნისტურ ჯგუფების მოწყობას.

ამერიკა.

თუმცა ამერიკელი მუშები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ევროპელი მუშები, მაგრამ მაინც მათს შვილებს ადრე უხდებთ მუშაობაში ჩაბმა თავის გამოსაკვებად.

ამერიკაში მუშების მრავალი ათასი ბავშვი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის სკოლაში უსაუზმოდ და დაგლეჯილ ტანსამოსში.

სამხრეთ-ამერიკის ბამბის პლანტაციებში, მისჩიგანის შტატის ქარხლის მინდვრებზე, ჩიკაგოს სასაკლაოებში, კალიფორნიის ხილის ბაღებში, მაღაროებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში,—მონის მდგომარეობაში არა ნაკლებ 3 მილიონი ბავშვისა, 5—16-წლიანები.

ამერიკაში მრავალი ბურჟუაზიული ორგანიზაციაა. მათში უფრო მაგნებელია: „ბოი-სკაუტები„ (ვაჟები) და „გერელ-სკაუტები“ (ქალები) და სხვ.

ამერიკაში ბავშვთა მოძრაობა, მიუხედავად გამოაცდელობისა და დევნა-შევიწროებისა, რომელსაც იგი სკოლებში განიცდის, ამჟამად მშვენივრად ვითარდება კომპარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით.

ორგანიზაციას აქვს საკუთარი ჟურნალი **„ნორჩი ამხანაგი“** (იუნ კამრად), რომელიც 8000 ეკზემპლიარად ვრცელდება.

ესტონეთი.

ორგანიზაციას აქვს მხოლოდ 4 ჯგუფი—360 წევრით.

უკანასკნელ დრამდის ისინი მუდმივ მძიმე პირობებში მუშაობდენ, ბურჟუაზიის და ეანდარმების დევნის ქვეშ.

ახე, მაგალითად, წელიწად-ნახევრის წინ პოლიციამ სცემა და დაატუსაღა რამდენიმე 14 წლის ვაჟი იმისთვის, რომ ისინი თეთრგვარდიელთა მიერ მოკლულ თავის მასწავლებლის დასაფლავების დემონსტრაციაზე წავიდენ. როცა ესტონეთის პარლამენტში მუშათა წარმომადგენელმა ამ ბავშვების განთავისუფლება მოითხოვა, ბურჟუაზიულ მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხა: **ეგ ბავშვები დასახვრეტებიაო.** მიუხედავად ყველა ამისა, ბავშვები მაინც კარგად მუშაობდენ.

1923 წლის თებერვლიდან ისინი სცემდენ ყოველთვიურ ჟურნალს „ჩვენი ბავშვები“, 3000 ცალს.

1924 წლის დეკემბრის დასაწყისში ესტონეთში მუშათა აჯანყება მარცხით გათავდა: ამ აჯანყებაში ბავშვთა კომუნისტურ ჯგუფის წევრებიც იღებდენ მონაწილეობას; ბევრი მთვანი ციხეებში ზის და არა ერთხელ უცემიათ მათთვის; რამდენიმე ბავში დახვრიტეს კიდეც.

ესტონელ პიონერების ჟურნალი დაკეტილია, თვით პიონერთა ორგანიზაცია იქაურ მთავრობის მიერ დაშლილადაა გამოცხადებული.

მაგრამ, რასაკვირველია, ამ აკრძალვამ ბავშთა კომუნისტური ჯგუფები ვერ მოსპო და ისინი საიდუმლოდ მუშაობენ.

ბულგარეთი.

ამჟამად ბულგარეთში მხეცურად უსწორდებიან მუშებს და გლეხებს.

კაპიტალისტების უღლის ქვეშ ამ ქვეყანაში მუშების და გლეხების ცხოვრების პირობები მეტად ძნელი და აუტანელია. აუტანელია მათი ბავშვების მდგომარეობაც.

8—14-წლიანი ბავშვები დამქირავებლების უხეშ ექსპლოატაციის ქვეშ არიან, უმნიშვნელო ხელფასით.

სოფლებში ბავშვები ბატრაკებად ექირავებიან ერთი ლუკმა პურისათვის, რათა თავისი ოჯახი შიმშილობის გადაარჩინონ.

სამაგიეროდ, ბულგარეთის ბურჟუაზია დიდ ყურადღებას აქცევს თავის ბავშთა მოძრაობის ორგანიზაციას. აუარებელი ფული ეძლევათ სკაუტების ორგანიზაციებს, ბავშთა აღზრდას „სამშობლოს და სახელმწიფოს სიყვარულის“ მიხედვით. ბავშთა კომუნისტური მოძრაობა ბულგარეთში 1921 წელს ჩაისახა კომკავშირის ხელმძღვანელობით.

უკვე 1922 წლის ზაფხულში ბულგარეთში 800 ბავშვია კომუნისტური ჯგუფი ითვლებოდა, 7000 ბავშვი. ამ დროს ისინი იწყებენ თავის ჟურნალის „დრუგარტ„-ს („ნორჩი ამხანაგი“) გამოცემას, რომელსაც 10.000 ეკზემპლიარს მიაღწია.

ბულგარეთის ბავშთა კომუნისტური ჯგუფები ყოველთვის იღებდენ აქტიურ მონაწილეობას იმ კამპანიებში, რომელსაც ბულგარეთის კომპარტია და კომკავშირი ჩაატარებდა ხოლმე.

მთავრობას, რომელიც ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ზრდას ხედავდა, ეს არ მოსწონდა; დაიწყო დევნა, მოსწავლე პიონერების სკოლიდან გამორიცხვა.

1923 წელში ბულგარეთის მუშები და გლეხები კაპიტალისტების და მემამულეების მხეცურ მთავრობას აუჯანყდენ.

ამ ბრძოლაში ბავშთა კომუნისტურმა ჯგუფებმა ცოცხალი მონაწილეობა მიიღეს, შველოდენ მებრძოლ მშობლებს, რითაც შეეძლოთ.

მთავრობის ჯარები დაუნდობლად ხვრეტდენ წითელ აჯანყებულების რაზმებს. ამასთან ერთად მთავრობამ დაქსაქსა ყველა ბავშთა კომუნისტური ჯგუფები და კანონს გარეშე გამოაცხადა ისინი.

გერმანია.

არც გერმანიაშია უკეთესად საქმე. ტიურინგიის (მხარეა გერმანიაში) ფაშისტურმა მთავრობამ

შემდეგი დადგენილება გამოსცა: 1) ყოველივე კომუნისტური პროპაგანდა სკოლებში აკრძალულია. ვინც მას გასწეგს, დისჯება, 2) კომუნისტური პროპაგანდის ხელშემწყობი მასწავლებლები დაუყოვნებლივ უნდა იქნენ დათხოვნილნი სამსახურიდან, 3) აკრძალულია სკოლის შენობაში ადგილის დათმობა ბავშთა კომუნისტურ ჯგუფების კრებებისათვის.

მიუხედავად ფაშისტების მიერ შექმნილ ათასგვარ დაბრკოლებისა, ბავშთა კომუნისტური ჯგუფები შემდეგშიაც განაგრძობენ თავის მუშაობას. მათგან ახალი თაობა წარმოიშობება, თაობა პროლეტარიატის საქმის მებრძოლებისა.

კაპიტალის ყველა ქვეყნებში ბურჟუაზიულ ბავშთა ორგანიზაციები სხვადასხვა სახელწოდებით არსებობს, ისინი სავსებით უზრუნველყოფილნი არიან ფულით, ლიტერატურით და ინსტრუქციებითაც.

მათი სახელწოდებაა: **სკაუტები, მზვერავები, კადეტები, შვედნენი, პიონელ მაისის კავშირები, მა კობი, ახალგაზრდათა ქრისტიანული კავშირები,

ბავშთა საერთაშორისო კვირეული.

წელს ბავშთა კვირეული უკვე მეხუთეჯერ ტარდება. თავისი ნნიშვნელობით ეს უქმე დიდ სარგებლობას აძლევს ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციებს. პიონერებს ჩვენ ამ დღეებში ვეწვრთნით, ვშინჯავთ, ვაკვალიერებთ და ვსწავლობთ ჩვენს ძალებს. ამ მეხუთე კვირეულს საერთაშორისო, მსოფლიო მასშტაბით დიდი მნიშვნელობა ექნება და განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება მას ჩვენთვის, თავისუფალი საბჭოთა რესპუბლიკების მეხოვრეს წითელ ახალგაზრდობისთვის.

უკანასკნელი წლის განმავლობაში ბავშთა, პიონერთა მოძრაობა სულ იზრდებოდა და მტკიცდებოდა; მისი ზრდა წინმიმდინარეობდა შეუწყვეტლივ. ახალგაზრდა პიონერები შეიკრნენ ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრების შუაგულში, შეიქნენ საზოგადოებრივ, ცნობილ და მტკიცე ძალად. პიონერთა მოძრაობაში ბევრი ახალი ნაბიჯია გადადგმული მათი აღზრდისა და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმისთვის. პიონერები აწარმოებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო მუშაობას, მონაწილეობას იღებენ ახალი სკოლის და ახალი სოფლის ყოფა-ცხოვრების შექმნაში.

ფრანგი პიონერები ბავშთა კვირეულის დროს.

უცხოეთშიც, წითელ რესპუბლიკებს, თავისუფალ რესპუბლიკებს გარეთ, ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც ძლიერდება ბავშთა კომუნისტური მოძრაობა. მიუხედავად გაბატონებული კლასის—ბურჟუაზიის—ძალადობისა პიონერთა წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული მთავრობები ებრძვიან პიონერებს, როგორც მათ მომავალ მტრებს და მესაფლავეებს,—იქ ბავშთა კომუნისტური მოძრაობა მაინც მტკიცდება, ისინი აწარმოებენ აქტიურ მუშაობას სკოლებში, ჩამორჩენილ ბავშებში, ეხმარებიან მუშაობაში და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთ ძმებს—კომკავშირელებს.

კომუნისტური ბავშთა საერთაშორისო დღე აშკარად გამოამეჟღავნებს მათ ძლიერებას, მათ ენერგიას.

საერთაშორისო მაშტაბით, მთელ მსოფლიოში, საბავშო კვირეული გატარებულ იქმნება მოწოდებით ბავშთა კომუნისტურ ჯგუფების სასკოლო უჯრედებად გადასაკეთებლად ბავშებს მოუწოდებენ, იბრძოლონ მჩაგვრელ—ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, მოუწოდებენ, განამტკიცონ კავშირი საბჭოთა, წითელ, თავისუფალ რესპუბლიკების კომუნისტურ ბავშთა ორგანიზაციებთან, რომ მოწაფეთა ფართე რიგებში დაარსდეს პიონერთა ორგანიზაციები. სხვა ქვეყნებში მიღებულ იქნება ზომები, რომ ყოველ სკოლასთან დარსდეს პიონერთა ორგანიზაციები.

მაგრამ გარდა ამისა ამ კვირეულში, ესე იგი იმ კვირის განმავლობაში, გაიმართება ბავშთა და პიონერთა ზეიმი როცა გაიმართება ბავშთა და პიონერთა ზეიმი, ბავშებს მოუწოდებენ:

— იბრძოლონ მოსალოდნელ, ბურჟუაზიის მიერ დაწყებულ, ომების წინააღმდეგ.

— იბრძოლონ მათი მამების—მუშების და გლეხების—დასაახლოვებლად საბჭოთა რესპუბლიკების შრომელ კლასთან.

ასე მოუწოდებენ საზღვარგარეთ, ჩვენში კი, წითელ რესპუბლიკებში, თავისუფალ პიონერებს, რომლებსაც მოვალობა და ხელისუფლება არავმე თუ არ სდევნის, არამედ ეხმარება კიდეც, ჩვენ ამ კვირეულის განმავლობაში პიონერებს მოვუწოდებთ სულ სხვა რამეებისკენ: **პირველი: ჩვენ მოვუწოდებთ ახალგაზრდა წითელ პიონერებს: იზრუნონ თავიანთ, ესე იგი პიონერების, და საერთოდ ყველა ბავშვების ჯანმრთელობაზე, სიჯანსაღეზე.**



გერმანელი პიონერები დასასვენებელ სახლში.

მომავალი სოციალისტური ქვეყნის შექმნისთვის, მომავალი ბრძოლისთვის საჭიროა ჯანსაღი ახალი თაობა, ასეთი ახალი თაობაა პიონერები და ისინი ჯანსაღი უნდა დაუხვდენ მომავალს.

მთელი ყურადღება უნდა მიექცეს პიონერთა ცხოვრების და მუშაობის პირობათა გაუმჯობესებას, საჭმელის გაუმჯობესებას, მათი საცხოვრებელი ბინების გაუმჯობესებას, ჰაერით სარგებლობას, სკოლაში მუშაობის განაწილებას—ყველაფერს უნდა მიექცეს ყურადღება და გაუმჯობესებელ უნდა იქნეს. ბავშვი პიონერი სუფთად, ნორმალურად, უნდა ცხოვრობდეს.

მეორედ: ჩვენ მოვუწოდებთ სწავლისაკენ, სულ სწავლისაკენ. უსწავლელობა სიბნელეა, „უსწავლელად კომუნიზმი არ განხორციელდება", სთქვა ლენინმა. აქ უნდა მიექცეს ყურადღება სკოლაში პიონერთა კარგად სიარულს, გაკვეთილების გამოუტოვებლად, მათი სწავლის დროის განაწილებას და პიონერთა შორის წერა—კითხვის უცოდინარობის მოსპობას (ჩვენს რესპუბლიკებში გვყავს წერა-კითხვის უცოდინარი 30,000 პიონერი), აქვე უნდა მიექცეს ყურადღება ბავშვთა ლიტერატურას, მწერლობას, საბავშო თეატრს, საბავშო წრეებს, გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს და სხვა.

მესამედ: ჩვენ მოვუწოდებთ, დაიჭირონ მჭიდრო კავშირი სოფელთან, ქალაქის პიონერები უნდა იცნობდენ და უახლოვდებოდენ სოფლის პიონერებს. ქალაქელებმა შეფობა, ესე იგი მფარველობა, უნდა გაუწიონ სოფლის პიონერებს. სკოლების და სხვა დაწესებულებების საშუალებით უნდა ხორციელდებოდეს მფარველობა. ქალაქელებმა უნდა შეუწყონ სოფლის ჩამორჩენილ ბავშვებს ხელი, რათა ისინი შევიდენ პიონერთა ორგანიზაციაში.

მეოთხე: ჩვენ მოვუწოდებთ, რაც შეიძლება მეტი დახმარება გაუწიონ ჩვენმა პიონერებმა დასავლეთის და აღმოსავლეთის, ევროპის და აზიის დაჩაგრულ პიონერებს.

უნდა იზრდებოდეს ჩვენი ახალგაზრდობა ერთსულოვნად, არ უნდა იყოს განსხვავება ერთვნებებს—რუსებს, ქართველებს, სომხებს ან თათრებს—შორის, ყველანი ერთნაირი ადამიანები, ყველანი კაცნი ვართ.

მეხუთე: ჩვენ მოვუწოდებთ პიონერებს, უფრო ახლო დაუახლოვდენ ფართო მშრომელ მასებს.

საჭიროა პიონერი იცნობდეს ცხოვრებას, იმ ადგილებს, იმ ქარხნებს, სადაც სდუღს და სწარმოებს ახალი ქვეყნის შენება.

აი ასეთი მოწოდებებით გამოვლენ კომკავშირელები პიონერების წინაშე საერთაშორისო კომუნისტურ ბავშთა მეხუთე ზეიმზე. ბ.



წყალქვეშა მხატვარი

წყალქვეშა სამეფოს საუცხოო მიდამო უახლოეს ხანიდან გახდა ცნობილი და მხოლოდ რამდენიმე ადამიანისთვის, რომელთაც იგი მოიარეს წყალმყვინთავ ტანისამოსით.

მაგრამ, აი, ინგლისელი მხატვარი პრიტჩარდი, „წყალქვეშა ლანდშაფტისტი", - მხატვრობის ახალ ფაზას ჰქმნის.

წყალ ქვეშ ხატვა.

დიდხანს ეწვალა პრიტჩარდი, ვიდრე სპეციალურ წყალგაუტანავ ზეთის საღებავებს და ტილოს დაამზადებდა.

მაგრამ როგორც კი ეს შეიძლო, გატაცებით შეუდგა ბუნების გამოუკვლეველ სილამაზის შესწავლას. იგი მუშაობდა ბერმუდის და ტაიტის კუნძულებზე, სარკასის ზღვაში და ბევრგან სხვაგან.

მიუხედავად 30—50 ფუტის სიღრმისა, მხატვარი წყალმყვინთავ ტანისამოსში კარგად გრძნობდა თავს, თუმც იძულებული იყო თვითეულ 25—30 წამის შემდეგ მუშაობა შეეწყვიტა და მაღლა ამოსულიყო სიცივის, ან წყლის წნევით სუნთქვის გაძნელების გამო.

პრიტჩარდის სურათები ბეტის გალერეიაშ (პარიზშია) შეიძინა, აგრეთვე თავად მონაკის ოკეანოგრაფიულმა ინსტიტუტმა.

მხატვარი ამ პირველ თავის სურათებს მხოლოდ ცდებს უწოდებს თუმცა და იმედი აქვს, განსაკუთრ შედეგებს მიაღწიოს მომავალში.

დინოზავრის კვერცხები *).

ამ ორი წლის წინ ამერიკულ მუზეუმის მონტლოლეთის ექსპედიციამ მონტლოლეთის შუაგულში დინოზავრის კვერცხები აღმოაჩინა.

დინოზავრი უშველებელი ქვეწარმავალი იყო, ხვლიკის ოჯახისა, რომელიც უსსოვარ დროში, ეგრეთწოდებულ ცარცის ეპოქაში ცხოვრობდა და რამდენიმე ათეულ მეტრის სიგრძეს აღწევდა; უხეში ცხოველი იყო, განიერ სხეულით, მოკლე, ვეებაფეხებიანი, გრძელკისრიანი და ბალნით შემოსილი; იყო რქიანი დინოზავრიც.

დინოზავრი ცხოვრობდა მდინარის ან ზღვის ნაპირებზე, ჭაობებში; კვერცხებს სილაში სდებდა.

ექსპედიციამ კვერცხები ერთს ხეობაში იპოვა, თუმც უკვე გაქვავებული, მაგრამ ნათლად მოჩანს თუმცა ნაჭუჭი.

კვერცხების ახლომახლო აღმოჩენილია აგრეთვე დინოზავრების ჩონჩხები და თავის ქალა.



დინოზავრის კვერცხი.

თვითეული კვერცხის სიგრძე დაახლოვებით 8 დუიმს უდრის და 7 დიუმს გარეშემო.

*) დინოზავრი — უსსოვარი დროის უზარმაზარი ხვლიკის მსგავსი ცხოველი იყო.

ნაჭუჭი ღია მიხაკისფერისაა და სისქე დიუმის $^1/_{16}$-დი აქვს.

კვერცხები ამოვსებულია სილით, რომელიც ნაჭუჭში გასული დროთა განმავლობაში. სულ ნაპოვნია სხვადასხვა ადგილას 25 კვერცხი.

ნაპოვნია აგრეთვე დინოზავრის ბარტყები,— სიგრძით 3 მეტრი თითო.

მოსავლის გაზრდა.

სოფიის უნივერსიტეტის (ბულღარეთში) პროფესორმა **პოპოვმა** მრავალი ცდა მოახდინა და ამ-



ტკიცებს, რომ სხვადასხვა ხელოვნურად დამზადებულ ნივთიერებათა შეშბაპნებით მცენარეში და აგრეთვე მათს ხსნილში თესლის გაელებით,—მცენარე სწრაფად, სწორად ვითარდება და მეტს მოსავალსაც იძლევაო.

ამ ნივთიერებათა შორის აღსანიშნავია: მარილები მაგნიუმის, კალიუმის, მარგანეცის, ნატრიუმის და სხვ.

მცენარის თესლი რამოდენიმე ხანს ხსნილში თავსდება და შემდეგ ითესება.

ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დასახელებულ პროფესორის ცდებს მეურნეობისათვის. აქამდის თუ მთავარი ყურადღება მიწის განაყოფიერებას ჰქონდა მიქცეული, ახლა იგი მეორე ხარისხზე ჩამოდის და ადგილს თესლის ხელოვნურად დამზადებას უთმობს.

ბრძოლა ღრუბლებთან.

ღრუბლები ხშირად დიდად აბრკოლებს ჰაერში ფრენას,—ავიაციას.

ამიტომ ღრუბლების აცილება და გაბნევა საჭიროა და სასურველია,—მეტადრე მფრინავ მანქანების ძირს დასაშვებ ადგილებში,—ადგილმდებარეობის თვალსაჩინოდ დასანახავად.

ამ საკითხის გარდასაწყვეტად პირველი ნაბიჯი ამასწინად პროფესორმა ბანკროფტმა და უორენმა გადადგეს ამერიკაში.

ცდის დროს ოგაიოს შტატში მათ შესძლეს ღრუბლების გაფანტვა ჰაეროსტატიდან გადაგდებულ ტორნებულ მტვრის მსგავს სილის ზეიმოვანი სილის ნაწილები დადებითი ელექტრონით იყო დატენილი, რომელიც ღრუბლების წყლის წვრილს წვეთებს იზიდავს, დიდს წვეთებად გადააქცევს და, ამნაირად, ან წვიმა ჩნდება, ან, თუ დაბალი ტემპერატურაა,— თოვლი.

40 კილოგრამის ($2^1/_2$ ფუთი) სილის შემწეობით მათ შესძლეს 10 წუთის განმავლობაში 5—6 კვ. კილომეტრზე ღრუბლების გაფანტვა.

გამომგონებლებს იმედი აქვთ უფრო უკეთესი შედეგებისა მომავალში, როცა შესაძლებელი შეიქნება სილის ნაწილების უფრო მეტად დატენვა ელექტრონით, ვიდრე ახლა, და საფრენი მანქანებიც გაუმჯობესდება!

ავიაციის პიონერი, ამერიკელი რაიტი, რომელიც ამ ახალ გამოგონების ცდებს დაესწრო, შემდეგს ამბობს:

ღრუბლების გაფანტვა.

„მე სამუშაო კაბინეტში ვიყავი, როცა, ერთელ, აეროპლანის გუგუნი შემომესმა. გავიხედე ფანჯარაში და აეროპლანი შევამჩნიე სწორედ იმ დროს, როცა ის ღრუბლებში შეცურდა. აერო-

ბლანი მთლად დამემალა თვალთაგან 10—15 წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა, მხოლოდ ღრუბლის მეორე ნაპირზე. მას უკან გრძელი, კუდის მსგავსი ღრუბელი მისდევდა, რომელიც ჯერ კვამლი მეგონა, ვიდრე არ გავიგე, რომ იგი მტვერის მსგავსი ს

ია იყო, რომელსაც აპარატი ღრუბლებში ჰფარტავდა.

ახლა კი მივხვდი, რომ მე ექმ უორრენის ერთ-ერთი ცდის მოწმე ვიყავი.

როცა აეროპლანმა 5-ჯერ თუ 6-ჯერ გადასტრა ღრუბელი, უკანასკნელი თანდათან დაილია და 3 თუ 4 წამის შემდეგ უკვალოდ გაქრა. ეგზეთ დამემართა მეზობელს ღრუბლებს, ოღონ ამ ადამიანს ისინიც გადასტრა რამდენჯერმე. მესამე ღრუბელიც ასევე გაჰქრა".

ახლა რიგი ატლანტიის ოკეანეზეა, რომელზედაც უფრო დიდი მასშტაბით უნდა მოხდეს ცდები მისი ღრუბლიანობის თავიდან ასაცილებლად, და როგორც წყლით, ისე ჰაერით მოგზაურობის გასაადვილებლად.

ნაკრები

ხიბლავს თუ არა გველი?

ჯერ კიდევ სადაოა მეცნიერებაში საკითხი, აქვს თუ არა შხამიანს გველს ჰიპნოზის თვისება, ე. ი. შეუძლია თუ არა გველს შეხედვით გააშეშოს ანუ მოხიბლოს წვრილი ცხოველები.

გველის ახლოს რომ პატარა ცხოველი შეშდება (თითქოს იხიბლება მისი თვალხედვით), ამ მოვლენას მეცნიერება დღემდის ისე ხსნიდა, თითქოს ცხოველს სურდეს გველის ყურადღება შეილებს, ბარტყებს ააცილოს და თავისზე მიიქციოს.

მაგრამ პროფესორი კიტნერი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ტროპიკულ ქვეყნებში და ხშირად აკვირდებოდა გველებს,—სხვა დასკვნას აკეთებს; არა ერთხელ ნახა მან, რომ წვრილი ძერწნელი ცხოველები, სათვალებიანი ან შხამიანი სხვა გველი რომ გამოეკიდებოდათ, არ გაუბრალდენ და ერთ ადგილას შეშდებოდნენ.

სამხრეთ აფრიკაში მოშნაურებულ ციყვზე მან ასეთი ცდა მოახდინა: მოკლული გველი დაუდო თვალწინ. ციყვი თითქოს ერთს ადგილს მიეკარა, შეძრწუნებული უყურებდა გველს, ბალანი აებურძგნა, კუდი შეეულად დაედგა და მთლად ცახცახებდა.

ამასთან, ციყვი გველს უახლოვდებოდა, თითქოს რაღაც ძალა იზიდავსო, შემდეგ უკან გადმოხტებოდა და ისევ უახლოვდებოდა.

გველის მაგიერ რომ მკვდარი ხვლიკი დაუდეს ციყვს წინ, იგი დამშვიდდა.

მსგავსმა მრავალმა ცდამ პროფესორი კიტნერი დაარწმუნა, რომ გველი რაღაც ჰიპნოტიურ გავლენას ახდენს ცხოველებზე. აგრეთვე, იგი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში გველის სუნი ახდენს გავლენას ცხოველების სასუნთქავ ორგანოებზე და არა შეხედვა.

ამასთან, რადგანაც ციყვი დღიდან გაჩენისა ოთახში იზრდებოდა და ცოცხალი გველი არ ენახა, მისი შიში ინსტინქტური უნდა იყოსო, ასკვნის პროფ. კიტნერი.

როდის დასწავლა მარწვენა მკლავმა მარცხენა?

მეცნიერების აზრით, პალეოლითიურ (ქვის ძველი ხანა) და ნეოლითიურ (ქვის ახალი ხანა) ეპოქების მრავალი იარაღი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ამ ეპოქებში ადამიანი ერთნაირად ხმარობდა როგორც მარჯვენა მკლავს, ისე მარცხენას; მხოლოდ ბრინჯაოს საუკუნეს დასაწყისში, ჯერჯერობით გამოურკვეველ მიზეზების გამო, ადამიანის მარჯვენა მკვლავმა მიიღო უპირატესობა მარცხენასთან შედარებით.

მოძრაობათა სიჩქარე.

ქვემომოყვანილი მოძრაობათა სიჩქარის ნუსხა საინტერესო შედარებას იძლევა—ლოკომო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან დაწყებული და სინათლით გათავებული.
მაგალითად:

ლოკომოტივი გადის საათში — 19 ფუტს,
ვაკე მდინარე — 2 ვერსს
ქვევითი ადამიანი — 4—5 ვერსს.
ოკეანეს ჩქარი გემი — 30 ვერსს.
ველოსიპედი — 34 ვერსს.

ცხენი	41 ვ.
ჩქარი მატარებელი .	58 ვ.
ფოსტის ტრედი . . .	94 ვ.
შესაჯიბრი ავტომობილი	137 ვ.
აეროპლანი	150 ვ.
მერცხალი	223 ვ.
ხმა ჰაერში	1.123 ვ.
ვინტოვკის ტყვია . . . (დაწყებითი სიჩქარე)	2.052 ვ.
მიწა მზის გარშემო . .	100.800 ვ.
სინათლე	1.008.000.000 ვ.

კოსტა-რიკას *) ციცინათელები.

(თარგმანი).

კოსტა-რიკაში ამერიკელ მეცნიერ რიუეის ადმოუჩენია ხოკოები, რომლებიც უწყვეტს, ძლიერს სინათლეს იძლევიან. ასე, მაგალითად, ამისთანა ხოკო რომ გადმობრუნებულს ჭიქის ქვეშ მოვთავსოთ ღამე ოთახში, ისეთს ძლიერს სინათლეს იძლევა თურმე, რომ მის სინათლეზე წიგნის კითხვაც კი შესაძლებელია; ამასთან მთელს ოთახსაც ანათებს.

ჩვენებური ციცინათელას სინათლე უმნიშვნელო რამაა კოსტა-რიკას ხოკოების სინათლესთან შედარებით.

სხვადასხვა ხოკოები სხვადასხვა ფერის სინათლეს იძლევიან, უმთავრესად კი ყვითელს, ბომწვანოს და ზოგჯერ ლია წითელსაც.

*) კოსტა-რიკა—რესპუბლიკა ცენტრალურ ამერიკაში.



შაირადა

* * *

სოფლად ჩამორბის ჩუხჩუხით,
რწყავს ბოსტან-ვენახ.ბაღებსა,
ღამე რაკრაკებს, დღისით სდუმს,
ახარებს გოგო-ბიჭებსა.

* * *

ანბანში ასო მონახე,--
მეცხრამეტ ადგილს ლხინია;
სხეულის ნაწილს უმატე,
ჯერ კი დაკელ ინია.

* * *

აქამდის ხუცებ-მუვდელები,
ხალხს აჯერებდენ კეტითა,
რომ ქუხილს, ხმაურს აჩენდეს
კაცი, ძრბენალი ეტლითა.

* * *

რა ჰქვია იმ კაცს, მითხარი,
ყმაწვილო, შენი ჭირიმე,
ასო დაკელ, თორემა,
დარდით და ჯავრით ვტირი მე.

* * *

ახლა მიაკარ ერთანეთს
მარცვლები ზემოთ ნათალი,
გვაძი შეჰქმენი პოეტის,
არა ჰყავს სწორი ბადალი.

დავ. კარბელი.

ნორჩო პიონერო, შენ უნდა წიკითხო შენი წიგნი.

(„ნორჩ პიონერთა დეკლამატორი“).

ამ დღეებში კომკავშირის ცენტრმ ნორჩ პიონერთათვის გამოსცა ლექსების კრებული, სახელწოდებით **„ნორჩ პიონერთა დეკლამატორი“** „დეკლამატორი“ ამ წიგნს იმიტომ ჰქვიან, რომ მასში მოთავსებული ლექსები უმთავრესად ზეპირად საკითხვია სცენიდან; ისინი უნდა იკითხებოდენ ნორჩ პიონერთა საერთო კრებაზე, მაწაკეშში, სოფლის ახალგაზრდობის კრებებზე და საერთოდ ახალგაზრდობაში.

გამოსული კრებული სრულებით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. ბევრი მასში მოთავსებული ლექსი სიმღერებადაც შეიძლება გადაკეთდეს.

კრებულში მოთავსებულია თითქმის ყველა ქართველ ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლების და ე. წ. პროლემაფელების ლექსები. არის თარგმანებიც. კრებულში პირველად მოთავსებულია „ინტერნაციონალი“. შემდეგ „სპბავშო ინტერნაციონალი“, „წითელი დროშა“ და „მეფელი“. ეს სიმღერები. შემდეგ კი რიგ-რიგად დალაგებულია შემდეგი განყოფილებები,

1. იყავ მზად!
2. შრომის ბავშვნო.
3. ბავშვები ბარიკადებში.
4. ლენინის საფლავზე

და 5. რევოლუციონური დღესასწაულები.

აქ მოთავსებულ პოეტებს შორის როგორც რაოდენობით, ისე ლექსების ხარისხით. უმთავრესი ალაგი უკავია პროლეტარულ პოეტს **კონსტანტინე ლორთქიფანიძეს.**

ლორთქიფანიძე სამოლოდ მუშავდება, როგორც **წითელი ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი.** ეტყობა, ლორთქიფანიძეს პრინციპიალურად და სერიოზულად დაუწყია მუშაობა ახალგაზრდობისთვის პროლეტარულ, პოპულარულ და სულით მახლობელ **ლიტერატურის** შესაქნელად. თავაზრია ახალგაზრდობისთვის: იყო გასაგები, რბილი, ლირიკულ-სანტიმენტალური და ამასთანავე ლექსებში გერნდეს პატარასთვის საინტერესო შინაარსი. „სიერთო სიტყვები“ და რახარუნი არ ქმაა. ყოველივე ეს ახასიათებს ლორთქიფანიძის სამაგშო, ლექსებს. მისი ლექსი შინაარსიანია გასაგებია თუმცა ალაგ-ალაგ არის შებრუნებული ფრაზები, ბავშვისთვისთვის გაუგებარი შედარებები (სახეები) და სხვა, მაგრამ ეს მცირეა და შემთხვევითი. საერთოდ ამ კრებულში, ახალგაზრდა პოეტებში (სიხარულიძესა, ქუჩიშვილს და ზომლეთელს შემდეგ) ლორთქიფანიძე ყველაზე უფრო გასაგებია, და, რაც მთავარია, იგი ყოველ ლექსში მხნე, ჰაბეკი სისხლის, გაქნების და ბავშური სიფშიდის წითელი პოეტია.

აი, მაგალითად, მშვენიერი ლექსი „პირველი მაისი:“

„მეგობრებო!
ამ დღეს, როცა
სისარული ჩვენს გულ-
როს მზეც უთვლის მიწას კოცნას....

და სხვ. ეს სიტყვები თითქოს ადვილად და გასაგებნი იკითხება. თითქმის კრებულის ყველა ლექსებზე მაღლა სდგას ლორთქიფანიძის „ლენინის მეგლი“:

„რათ უნდა ლენინს დიდება ძეგლის,
უსულო სახე ბრინჯაოს ქვეშის?
უკვდავებისთვის სხვა რამეს ეძებს,
ის უფრო გულში იჭერება ქვეყეთი“

ეს მშვენიერი სიტყვებია.

კარგი საერთოდ ლორთქიფანიძის სხვა ლექსები, მაგრამ ლორთქიფანიძეშაც, თუ საბოლოოდ სურს დაიმსახუროს ახალგაზრდობის სიყვარული, ბევრი უნდა იმუშაოს ლექსის გასამსუბუქებლად და შინაარსის გასაცხოველებლად.

ლორთქიფანიძის შემდეგ მშვენიერი, **ნამდვილი ბავშური** შინაარსის, ჩანტე საკითხვი ლექსი აქვს **სიხარულიძეს „ხარაზის შეგირდი“.** აი ასეთი შინაარსიანი, მშრომელი ბავშის გულისთვის მისაღები ლექსია საპირო წითელი ბავშისთვის. კრებულის საუკეთესო (ავრეთვე შინაარსიან, რაც მთავარია!) ლექსს წარმოადგენს ი. ჩქარეულის „სოფლის პიონერი“. მშვენიერი ლირიკული სამაგშო ლექსია. ბავშის შინაგანი სული ამაზე უკეთესად ქაღალდზე არ გადმოიცემა.

გასაგებია ბავშვისთვის, თუმცა შინაარსით უფრო ღარიბია, ქუჩიშვილის, ზომლეთელის ლექსები. კარგი საკითხვია ხმამაღალ და კოლექტიურ კითხვისთვის კალაძის ლექსი. ზოგიერთ ლექსებს აქა-იქ ეტყობა ზერელობა, არ არის გასაგები ზოგი ლექსები. ძლიერ ბევრი სამაგშო სრულებითაც არ არის (მაგ. მაშაშვილის). მაგრამ ამათგანაც ამოიჩეენ კარგები, მაგ., მაშაშვილის მშვენიერი, უკვე პოპულარული ლექსი „ლენინ“. იგი ბევრჯერ დამეკითხა და ბევრმა იცის.

კარგია, მაგალითად: ჰე, მოვდიეართ
ცეკვა-მღერით,
ალისფერი ტალღა მოსჩანს... და სხვ.

არა უშავს, თუმცა ძნელი გასაგებია მდიანის ლექსები. ბევრი გაუგებარი. ბავშისთვის გაუგებარი სახეებით (შედარებებით) დატვირთულია სონდელის ლექსი. კარგად არის ნათარგმნი უცხოელთა ლექსები. დაზეპირების ღირსია ჭარკოს ლექსი. საერთოდ კრებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგ გაუგებარ ლექსებს, პიონერებისთვის გასაგებია. ყოველმა პიონერმა უნდა იცოდეს ზეპირად ამ კრებულის კარგი ლექსები. კარგი პიონერი დაისწავლის და დაიმახსოვრებს თავის ლექსებს და შეუადგენს ადაც რომ გაიკითხო, ზეპირად გეტყვეთან.

პიონერებო! იშოვეთ ეს წიგნი.

ბიჭიკო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1926 წ.

გამოცა
ყოველთვიური საუმაღვილო და სასურათებული
ჟურნალები

მოზრდილთათვის **წითელი სხივი** წელიწადი 3

მცირეწლ. **ნაპკადული** წელიწადი 22

ჟურნალის გამოცერა ს. ს. ს. რ. რესპუბ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელოვნის საქართველოს გავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, გავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, გიმნაზიუ-თეკების და სამეცნიერო-გის ვალდებულებაა გამოიწეროს

„წითელი სხივი"
და
„ნაპკადული"

ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით	„წითელი სხივი"	ერთი წლით—5 მან.
		ნახევარი წლით—3 მ.
	„ნაპკადული"	1 წლით—3 მ. 50 კ.
		ნახევარი წლით—2 მ.
ცალკე ნომერი	„წითელი სხივი"—45 კაპ.	
	„ნაპკადული"—30 კაპ.	

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 31. განათლების სახალხო კომისარიატი. „წითელი სხივის" და „ნაკადულის" რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

შეკ. № 5. მთავლიტი № 1622.— ტირ. 3000. ს.მ.უ.ს. პოლიგრ. განყ.მ ე-3 სტამბა.